www.24saati.ge

24 საათი

The New York Times
International Weekly
ყოველ სამშაბათს

© გაზეთი 24 საათი | ხუთშაბათი, 27 სექტემბერი, 2012 წელი. | №3122 (215) | ფასი 50 თეთრი

შსს ახალ ჩანაწერებს აქვეყნებს

შსს-მ გუშინ ფარული ჩანაწერების მორიგი სერია გამოაქვეყნა, რასაც საგანგებო ბრიფინგი მიეძღვნა და სადაც ცნობილი გახდა, რომ სამართალდამცველებმა 23 სექტემბერს, თბილისში დააკავეს "კანონიერი ქურდი" დავით ხიზანიშვილი, რომელიც ლაშა შუშანაშვილის დავალებით მოქმედებდა და რომლის მიზანსაც წარმოადგენდა დანაშაულებრივი დაჯგუფების მეშვეობით ფიზიკური და ფსიქოლოგიური ზეწოლა მოეხდინა ამომრჩეველზე ერთ-ერთი ოპოზიციური პოლიტიკური პარტიის სასარგებლოდ.

ამის დასადასტურებლად შსს-მ ფარული სატელეფონო ჩანაწერები გამოაქვეყნა, სადაც მათი მტკიცებით, ერთმანეთს "კრიმინალური ავტორიტეტები" ესაუბრებიან. გარდა ამისა, გამოქვეყნდა "ქართული ოცნების" სიის პირველ ნომერის კახი კალაძის საუბარი უცხო პირთან და გუბაზ სანიკიძის სატელეფონო საუბარი შევარდნაძისდროინდელ უშიშროების მინისტრ ვალერი ხაბურძანიასთან.

გაგრძელება
მე-4 გვერდზე

სტუდენტური პროტესტი ელოდება არჩევნებს და პატრიარქის გამოსვლას

მარი ახსიაშვილი

უკვე ტრადიციულად, სტუდენტური გაერთიანებები გუშინ ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელწიფო უნივერსიტეტის პირველი კორპუსის ეზოში 15:00-ზე შეიკრიბნენ. მათი მთავარი მოთხოვნა კვლავ ციხეებში მომხდარ დანაშაულთა გამოძიება და პატიმართა წამებაში დამნაშავე პირების დასჯაა. თუმცა, სტუდენტებმა ძირითად მოთხოვნებს კიდევ ერთი დაამატეს - სამართლიანი და ხალხის ნების გამომხატველი არჩევნების უზრუნველყოფა.

გაგრძელება
მე-2 გვერდზე

ფრანგული მხარის უკმაყოფილება და ქართული განმარტება

ფრანგული ჟანდარმერიის მიერ მოწოდებული მასალების საფუძველზე, შინაგან საქმეთა სამინისტრომ ქურდულ სამყაროსთან კავშირის მუხლით, სისხლის სამართლის საქმე აღძრა და გამოძიება დაწყებულია. ფრანგული მასალების საფუძველზე, გუშინწინ, გვიან ღამით, ყოფილ სახელმწიფო მინისტრთან, გოგა ხაინდრავასთან საგამოძიებო მოქმედება ჩატარდა. ის მოწმის სტატუსით დაიკითხა. როგორც შს სამინისტროში აცხადებენ, ეს იყო პირველადი დაკითხვა და "ქურდულ სამყაროსთან" კავშირში დადანაშაულებული გოგა ხაინდრავა, დღეს კიდევ დაიკითხება.

საუბარია მასალებზე, რომლებიც მთავარმა პროკურატურამ ტექსტობრივი, ვიდეო და ფოტომასალის, ასევე, თარგმანის სახით გაავრცელა და რომელშიც ქარეთველ "კანონიერ ქურდებთან" ერთად, ყოფილი სახელმწიფო მინისტრი გოგა ხაინდრავა ფიგურირებს. ინფორმაციის თანახმად, ხაინდრავა იმყოფებოდა კანონიერ ქურდებთან შეხვედრაზე, რომლებსაც მხარდაჭერის სანაცვლოდ, გავლენის აღდგენას ჰპირდებოდა

გუშინ დილით, საფრანგეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ, საკუთარ ოფიციალურ ვებგვერდზე განცხადება გამოაქვეყნა, სადაც ფრანგული მხარე უკმაყოფილებას გამოთქვამს მასალების გასაჯაროებასთან დაკავშირებით.

"ჩვენ გაოცებულნი ვართ, რომ საქართველოს ხელისუფლებამ გამოაქვეყნა ინფორმაცია, რომელიც საფრანგეთში მიმდინარე ერთი საქმის საგამოძიებო საიდუმლოს წარმოადგენს.

გაგრძელება
მე-4 გვერდზე

საპროტესტო აქციები მადრიდსა და ათენში

სალომე ჭანიაშვილი

ხუთშაბათს მადრიდში პოლიციამ რეზინის ტყვიები და ხელკეტები გამოიყენა დემონსტრანტების წინააღმდეგ, რომლებიც ხელისუფლების ხისტი ეკონომიის ზომებს აპროტესტებდნენ. შეტაკების მიზეზი გახდა დემონსტრანტების მცდელობა, გაერღვიათ რკინის ჯებირები, რომელიც პარლამენტის შენობის გარშემო იყო დაყენებული. ესპანურ პრესაზე დაყრდნობით გავრცელდა ინფორმაცია, რომ მინიმუმ 20 მომიტინგე დაკავებულია, ათამდე კაცი კი დაშავდა.

გაგრძელება
მე-7 გვერდზე

მადრიდი

1 აშშ დოლარი	1.6620⇓
1 ევრო	2.1463⇓
1 ინგლისური გირვანქა	2.6953⇓
1 თურქული ლირა	0.9261⇓
100 რუსული რუბლი	5.3336⇓

თბილისი	28°C - 16°C
ქუთაისი	30°C - 17°C
თელავი	29°C - 14°C
ზუგდიდი	29°C - 14°C
ბათუმი	27°C - 17°C

ნავთობი	3.07	-0.03	-1.05%
გაზი	3.17	+0.07	+2.17%
ოქრო	1,749.80	-16.60	-0.95%
ხორბალი	869.50	-17.00	-1.96%

"24 საათის" ელექტრონული ვერსია იხილეთ Web-გვერდზე
www.24saati.ge
ჩვენი პარტნიორები:

თიბისი ბანკი TBC BANK

FM 102.4

ბანკი კონსტანტა BANK CONSTANTA

ISSN 1987 9121
9 771987 912100 >

"გაიღიმეთ" "ოსკარს" უღიმის

ირანული "შაქრის ნატეხი" ქვეყნის მთავრობამ ნომინაციაში მოხვედრის შანსის გარეშე დატოვა

ია ვეკუა

კადრი რუსუდან ჭყონიას ფილმიდან "გაიღიმეთ"

რამდენიმე კვირის წინ ინტერნეტში გამოჩენილი სამოყვარულო ფილმ "მუსლიმთა უმანკოების" გარშემო არსებულმა მსოფლიო მასშტაბის სკანდალმა კინოსამყაროშიც გადაინაცვლა. ირანის კულტურის მინისტრის, მოჰამად ჰოსეინის მიერ გაკეთებული ოფიციალური განცხადების თანახმად, წელს ირანი უარს ამბობს ამერიკის კინოაკადემიის უცხოენოვანი ფილმის ნომინაციაზე ფილმის წარდგენაზე, რის მიზეზადაც სწორედ ზემოთ ნახსენები ფილმის არსებობა და მისი შინაარსი მოჰყავს. ირანის მთავრობის ბოიკოტის მთავარი მსხვერპლი კი, ცხადია, ფილმია - სეიდ რეზა მირ ქარიმის "შაქრის ნატეხი", რომლის წარდგენაც "ოსკარზე" ამ დღეებში იგეგმებოდა.

მოჰამად ჰოსეინის ამ განცხადების გაკეთებისას არც ამერიკის მთავრობის გაკრიტიკება დავიწყებია და არც ფილმის ავტორის ხსენება, რომლის "თავიც" რამდენიმე მუსლიმურმა ქვეყანამ საკმაოდ ძვირად შეაფასა. ამასთან, ჰოსეინიმ სხვა მუსლიმურ ქვეყნებსაც მოუწოდა ბოიკოტისკენ, რათა ამ სახით გამოხატონ უკმაყოფილება არსებული ფილმისა და ზოგადად ამერიკის მთავრობის მიმართ.

გაგრძელება
მე-9 გვერდზე

საქართველო ევრობასკეტისთვის მეხუთე კალათაშია

საქართველოს კალათბურთელთა ნაკრებს 2013 წლის სლოვენიის (4-22 სექტემბერი) ევროპის ჩემპიონატის კენჭისყრის წინ მე-5 კალათაში მიუჩინეს ადგილი. იგორ კოკოშკოვის გუნდის გარდა, მე-5 კალათაში მოხვდნენ ბელგია, ლატვია და თურქეთი.

მოწინავე კალათაში ნაკრებები გასულ ევრობასკეტზე ნაჩვენები შედეგების მიხედვით გადანაწილდნენ. ამიტომ ევროპის ჩემპიონს, ესპანეთის ნაკრებს, პირველი საფეხური ერგო.

გაგრძელება
მე-11 გვერდზე

გარდაიცვალა ცნობილი მეცნიერი, ელეფთერ ანდრონიკაშვილის ფიზიკის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ თანამშრომელი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სრული პროფესორი, საქართველოს საინჟინრო აკადემიის წევრი, აშშ-ს ელექტროქიმიური საზოგადოების და აშშ-ს ზედაპირის დაფარვების საზოგადოების წევრი, ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი თეიმურაზ ხოფერია.

თეიმურაზ ხოფერია დაიბადა 1932წ. 15 თებერვალს ცნობილი ინჟინრის, 1937 წლის პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლის, ნიკოლოზ ხოფერიას და ქართული ენის მასწავლებლის ქსენია დანელიას ოჯახში. 1951 წელს ოქროს მედალზე დაამთავრა თბილისის მე-8 ვაჟთა საშუალო სკოლა და 1955 წელს წარჩინებით - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ქიმიური ტექნოლოგიის ფაკულტეტი.

პროფესორი თეიმურაზ ხოფერია გახლდათ ფართოდ ერუდირებული და მრავალმხრივი მეცნიერი და ტექნოლოგი. მან მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ელექტროქიმიის აქტუალური მიმართულებების განვითარების საქმეში. მას გააჩნდა სიახლის განსაკუთრებული ალღო; ფრიად ფასეულ წარმატებებს მიაღწია თანამედროვეობის უახლეს დარგებში, როგორებიცაა ნანოტექნოლოგიები, მიკრო ელექტრონიკა და ოპტო ელექტრონიკა.

პროფესორ ხოფერიას გამოქვეყნებული აქვს 150-ზე მეტი შრომა, მათ შორის მონოგრაფია, აშშ-ში, კანადაში, იაპონიაში, გერმანიაში, რუსეთში, საქართველოში და სხვა ქვეყნებში.

პროფესორი თეიმურაზ ხოფერია სარგებლობდა დიდი საერთაშორისო ავტორიტეტით და მაღალი რეიტინგით. მის მიერ დამუშავებული ტექნოლოგიები ფართოდ იყო დანერგილი, განსაკუთრებით ყოფილი საბჭოთა კავშირის მრავალ ქარხანასა და საწარმოში.

ფრიად საინტერესო და აქტუალურია მის მიერ დამუშავებული დიელექტრიკულ და ნახევარგამტარ მასალებზე წყალხსნარებიდან ქიმიური მეთოდებით გამიზნული თვისებების მქონე ლითონებისა და შენადნობების დატანის ტექნოლოგია. ამ მიმართულებით განსაკუთრებით აქტუალურია ძვირადღირებული ლითონების ოქროსა და ვერცხლის შეცვლა არაძვირადღირებული ნივთიერებებით. ამავე დროს, განხორციელდა პროცესის ხანგრძლივობის 10-30-ჯერ შემცირება და შხამიანი ნაერთების გამოყენების გამორიცხვა.

ტოკიოს, კიოტოს, ტეხასის, დიუსელდორფის უნივერსიტეტების და აშშ-ს სტანდარტებისა და ტექნოლოგიის ნაციონალური ინსტიტუტის, ჯორჯიას ტექნოლოგიური, ფრაუნგოჰერის ინსტიტუტების და იაპონიის საგარეო საქმეთა სამინისტროს მეცნიერების დეპარტამენტის დასკვნებში აღნიშნულია, რომ თეიმურაზ ხოფერიას ხელმძღვანელობით მიღებულია უმნიშვნელოვანესი მეცნიერული და გამოყენებითი მნიშვნელობის შედეგები მიკრო და ოპტო ელექტრონიკის დარგებში.

განსაკუთრებით საყურადღებოა, მისი შრომების საფუძველზე, ნანოზომის და დიდი ზედაპირის მქონე ფხვნილებზე კლასტერების დაფენით, მზის ენერგიის საშუალებით წყლის წყალბადად და ჟანგბადად დაშლა, მეთანის და წყალბადის პირდაპირი ეკოლოგიურად სუფთა გარდაქმნის შედეგად თბურ ელემენტებში ელექროენერგიის მიღების პერსპექტივა (ელექტროავტომობილებში და სხვაგან) და ეკოლოგიური გარემოს გამაჯანსაღებელი ადსორბენტების დამზადება.

პროფესორი თეიმურაზ ხოფერია გახლდათ უაღრესად აქტიური მკვლევარი. იგი სისტემატიუურად გამოდიოდა საინტერესო მოხსენებებით საერთაშორისო კონფერენციებსა და სიმპოზიუმებზე. ნიშანდობლივია, რომ გარდაცვალებამდე ორიოდე დღით ადრე მან შესანიშნავი მოხსენება წაიკითხა საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში ჩატარებულ საერთაშორისო კონფერენციაზე. სულ რაღაც ორი კვირის წინ მან ხელი მოაწერა კონტრაქტს აშშ-ის გამომცემლობასთან მისი ინგლისურ ენოვანი მონიგრაფიის გამოცემის თაობაზე.

აღსანიშნავია, რომ პროფესორი თეიმურაზ ხოფერია მრავალ საერთაშორისო კონფერენციაზე წარსდგა მოწვეული მომხსენებლის რანგში. მისმა მრავალმა მოხსენებამ დაიმსახურა განსაკუთრებით მაღალი შეფასება და ჯილდო. იგი ხშირად იყო კონფერენციებისა და სიმპოზიუმების სექციებისა და სხდომების თავმჯდომარე.

პროფესორ თეიმურაზ ხოფერიას სახელზე გაცემულია საერთაშორისო და საქართველოს მრავალი პატენტი.

იგი გახლდათ მრავალი მეცნიერის და ტექნოლოგის აღმზრდელი ბრწყინვალე პედაგოგი, რომლებიც ღირსეულად გააგრძელებენ მის მიერ გაკვალულ გზას.

პროფესორ თეიმურაზ ხოფერიას ღვაწლი სათანადოდ იქნა აღიარებული. იგი დაჯილდოვებული იყო მრავალი საერთაშორისო, საკავშირო და რესპუბლიკური მედლით, დიპლომით და პრემიით.

პროფესორი თეიმურაზ ხოფერია გახლდათ გულისხმიერი მეუღლე, მამა, ბაბუა და მეგობარი. მისი ნათელი ხსოვნა სამუდამოდ დარჩება მისი მოწაფეების, კოლეგების, და მეგობრების გულებში.

ელეფთერ ანდრონიკაშვილის სახელობის ფიზიკის ინსტიტუტი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

სტუდენტური პროტესტი ელოდება არჩევნებს და პატრიარქის გამოსვლას

პირველი გვერდიდან

აქციის მონაწილეებმა თსუ-ს ეზოში გააკრეს ბანერები წარწერებით: "ახალაიები უნდა დაისაჯონ", "საზოგადოებრივი არხი საზოგადოებას" და "სისტემა უნდა დაინგრეს".

გუშინდელ საპროტესტო გამოსვლას ორგანიზებას უწევდა სტუდენტთა საკოორდინაციო საბჭო, რომლის შემადგენლობაში შედიან: "ლაბორატორია 1918", სტუდენტური ხმა", "დამოუკიდებელ სტუდენტთა ასოციაცია", თეატრალური უნივერსიტეტის სტუდენტები, სამხატვრო აკადემიის სტუდენტები, ახალგაზრდული ორგანიზაცია "შავფაროსნები", საპატრიარქოსთან არსებული ახალგაზრდული ორგანიზაცია "დავითიანი", ახალგაზრდული ორგანიზაცია "ივერიონი", სამედიცინო უნივერსიტეტის სტუდენტთა გაერთიანება "ჯანმრთელი მომავლისთვის" და "ახალგაზრდობა სამართლიანობისთვის".

"თუ არჩევნებში "ნაციონალური მოძრაობა" ვერ გაიმარჯვებს, სისტემა დანგრეული იქნება," - განაცხადა აქციის ერთ-ერთმა მონაწილემ. მომიტინგეებმა ყველა მოქალაქეს მოუწოდეს, არჩევნებზე მივიდნენ და თავიანთი მოქალაქეობრივი ვალი მოიხადონ. არჩევნების გაყალბების შემთხვევაში კი, სტუდენტები მასობრივი გამოსვლებით იმუქრებიან.

"თუ საქართველოში არჩევნები გაყალბდება და ისევ "ნაციონალური მოძრაობა" გაიმარჯვებს, სამჯერ, ხუთჯერ და ექვსჯერ მეტნი გამოვალთ, თუმცა ჩვენი მიზანი არ არის რომელიმე პოლიტიკური პარტიის მხარდაჭერა. ჩვენი მიზანია ამ სისტემის დანგრევა," - ამბობს აქციის ერთ-ერთი მონაწილე.

პარალელურად, საპროტესტო აქცია გამართეს სპორტსმენებმა, რომლებიც ფეხბურთის ფედერაციის მიმდებარე ტერიტორიაზე შეიკრიბნენ, შემდეგ კი თსუ-სთან მიმდინარე სტუდენტურ აქციას შეუერთდნენ. სპორტსმენების საინიციატივო ჯგუფი ქართულ ციხეებში გამოვლენილი დანაშაულებრივი ფაქტების გამო აღშფოთებას გამოთქვამს და ადამიანების წამებას, დამცირებასა და შეურაცხყოფას გმობს.

ფეხბურთის ფედერაციასთან შეკრებილი სპორტსმენების განცხადება ფეხბურთელმა ზურაბ მაისურაძემ წაიკითხა. განცხადებაში ნათქვამია, რომ სპორტსმენები ძალადობის მსხვერპლ პატიმრებს და მათ ოჯახებს თანადგომას უცხადებენ.

სპორტსმენების შეფასებით, აუცილებელია პროვოკაციების თავიდან აცილება და არჩევნებამდე მშვიდობიანი გზით მისვლა.

ფეხბურთის ფედერაციასთან იმყოფებოდა მოგზაური ჯუმბერ ლეჟავაც. მისი თქმით, საჭიროა გონიერება.

"შველა ღმერთმა გამოგვიგზავნა, გვჭირდება გონიერება. ვფიქრობ, ქართველი ხალხი გონიერია. ვიცი, რომ გავიმარჯვებთ, ხალხი გაიმარჯვებს და ხალხის გამარჯვება იქნება იგივე, რომ ნომერი 41 გაიმარჯვებს," - განაცხადა ჯუმბერ ლეჟავამ.

აქციის მონაწილეები მსვლელობით სახელმწიფო კანცელარიისკენ გაემართნენ, სადაც საგანგებო განცხადება შეიტანეს. მას ხელს აწერენ სხვადასხვა უნივერსიტეტების წარმომადგენლები. განცხადების მიხედვით, სტუდენტები მოითხოვენ, დაისაჯოს ყველა ის პირი, ვისაც უშუალოდ მიუძღვის ბრალი იმ ქმედებებში, რაც სასჯელაღსრულების დაწესებულებებში ხდებოდა. ასევე, სტუდენტები მთავრობისგან მოითხოვენ, მაქსიმალურად უზრუნველყოს სამართლიანი არჩევნების ჩატარება. მათი განცხადებით, არჩევნების გაყალბების მცდელობა გაუტოლდება იმ დანაშაულს, რომელიც პენიტენციალურ სისტემაში მოხდა. სტუდენტთა საკოორდინაციო საბჭოს წარმომადგენელ სერგო ბარამიძის თქმით, ამ განცხადებით ხელისუფლება უკეთ გაიგებს სტუდენტების პროტესტის მიზანს და მოთხოვნებს.

სტუდენტურმა ორგანიზაციამ "ლაბორატორია 1918", რომელიც ყველა სტუდენტური საპროტესტო გამოსვლის ერთ-ერთი ორგანიზატორი იყო, საპარლამენტო არჩევნებამდე მანიფესტაციები და ქუჩის მსვლელობები შეწყვიტა. ორგანიზაციის წევრ ანი ჭანკოტაძის განცხადებით, ამის შემდეგ ისინი პოზიციას სხვადასხვა აქტივობებით გამოხატავენ.

"ეს აღარ იქნება დიდი მანიფესტაციები და ქუჩის მსვლელობები, მაგრამ ზოგადად, მხარს ვუჭერთ ყველა ორგანიზაციასა და გაერთიანებას, რომელიც იბრძვის სისტემის და ტირანიის წინააღმდეგ," - განაცხადა ანი ჭანკოტაძემ და დასძინა, რომ ახლა საჭიროა, ქვეყანა არჩევნებამდე მშვიდად მივიდეს.

სტუდენტთა საკოორდინაციო საბჭო კი დღეს მოძრაობა "დავითიანნის" მიერ ორგანიზებულ მსვლელობას შეუერთდება და საპროტესტო აქციას აღარ გამართავს.

როგორც საკოორდინაციო საბჭოს წევრებმა განაცხადეს, ისინი დაელოდებიან, თუ რას განაცხადებს პატრიარქი და მხოლოდ ამის შემდეგ მიიღებენ აქციების შესახებ გადაწყვეტილებას.

"ჩვენ რამდენიმე წუთის წინ გავიგეთ, რომ პატრიარქი ხვალ აკეთებს განცხადებას მიმდინარე მოვლენების შესახებ. დაველოდებით ამ განცხადების შინაარსს, რის შემდეგაც საკოორდინაციო საბჭო მოითათბირებს და სამომავლო გეგმებს გადაწყვეტს. ამ განცხადების გაცნობამდე საპროტესტო ღონისძიებებს არ გავმართავთ," - აცხადებენ სტუდენტები.

საპროტესტო აქციების მე-8 დღეს სტუდენტები უცვლელი მოთხოვნებით ისევ შეიკრიბნენ ფილარმონიასთან. საინიციატივო ჯგუფის ერთ-ერთი ლიდერის ალექსანდრე კობაიძის განცხადებით, ისინი აღმასრულებელი ხელისუფლების გადადგომასა და იმ თანამდებობის პირთა სისხლის სამართლებრივ პასუხისგებაში მიცემას ითხოვენ, რომლებსაც პატიმართა წამებაში მიუძღვით ბრალი. კვლავ ძალაში რჩება მოთხოვნა საინიციატივო ჯგუფის ორი წევრის დაჩი ცაგურიასა და ბექარ ალადაშვილის პატიმრობიდან გათავისუფლების შესახებ, რომლებიც სამართალდამცავებმა რამდენიმე დღის წინ დააკავეს. კიდევ ერთი მოთხოვნა, რომელიც ფილარმონიასთან გამომსვლელ მომიტინგეებს აქვთ, არასამთავრობო სექტორისთვის ციხეებში 24-საათიანი მონიტორინგის უფლების მინიჭებაა.

"დღეს არის აქციის მე-8 დღე. აქციების მიზანია ის, რომ გამოვიჩინოთ პრინციპულობა და გავმართოთ საპროტესტო შეკრებები მანამდე, ვიდრე ხელისუფლება ჩვენს ამ მოთხოვნებს არ შეასრულებს," - აღნიშნა ალექსანდრე კობაიძემ.

არასამთავრობო ორგანიზაციები ახალ მინისტრს შეხვდნენ

სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიულ დახმარების საკითხთა ახალი მინისტრი აცხადებს, რომ მონიტორინგის საბჭოს შექმნა სამინისტროს ერთ-ერთი პრიორიტეტია. გიორგი ტუღუშთან შეხვედრას, გუშინ, 20-ზე მეტი არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელი ესწრებოდა.

ყოფილი ომბუდსმენის თქმით, საჭიროა, არასამთავრობო სექტორმა, რომელიც საზოგადოებას წარმოადგენს, განახორციელოს დამოუკიდებელი მონიტორინგი სასჯელაღსრულების დაწესებულებებში.

"შეხვედრასი მონაწილე არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგებლებმა ახალ მინისტრს კონკრეტული მოსაზრებები შესთავაზეს იმასტან დაკავშირებიტ, თუ როგორ წარმოუდგენიათ მონიტორინგის საბჭოს მუშაობა.

"წლების განმავლობაში პრევენციას ახორციელებდა სახალხო დამცველის აპარატი. როგორც ვნახეთ, საბოლოო ჯამში, ეს იყო აბსოლუტურად არაეფექტური. ამიტომ გაჩნდა ალტერნატიული მექანიზმის ჩართვის საჭიროება. ჩვენ კონცეფციას წარვადგენთ იმედია, საბოლოოდ შეთანხმება მოხერხდება", - განაცხადა ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის თავმჯდომარე თამარ ჩუგოშვილმა.

ფონდ "ღია საზოგადოება - საქართველოს" დირექტორის, ქეთი ხუციშვილის თქმით, თუ საბჭოს არ ექნება უფლება, მოისმინოს ჩანაწერები ციხის დერეფნიდან, ეზოდან და საკნებიდან, მაშინ საბჭოს სერიოზული საქმიანობა გაუჭირდება.

არასამთავრობო ორგანიზაციებთან შეხვედრის დასრულების შემდეგ კომენტარი გააკეთა გიორგი ტუღუშმა.

"დიდი ხანია საქართველოში მიდის მსჯელობა ამ საკითხზე და მე, როგორც მინისტრმა, მივიღე გადაწყვეტილება, საფუძველი ჩავუყარო კონკრეტულ პროცესს. შევთავაზეთ შეხვედრის მონაწილეებს, რომ ორი კვირის ვადაში წარმოადგინონ კონცეფცია, თუ როგორ ხედავენ ისინი საბჭოს ფუნქციონირებას და იმედს ვიტოვებ, რომ ყველა ელემენტის შეჯერების შემდეგ მოხერხდება საბჭოს დაკომპლექტება, რომელსაც ექნება შესაძლებლობა, დამოუკიდებლად განახორციელოს მონიტორინგი სასჯელაღსრულების ყველა დაწესებულებაში. ყველანი ვთანხმდებით იმაზე, რომ ეს სტრუქტურა მალე შეიქმნება და დაიწყებს ფუნქციონირებას," - განაცხადა ტუღუშმა.

ცესკოს სხდომა დღეისთვის გადაიდო

გუშინ ჟურნალისტებთან ცესკო-ს თავმჯდომარე ზურაბ ხარატიშვილის შეხვედრის შემდეგ ცენტრალური საარჩევნო კომისიის წევრებმა ახლად მიღებულ დადგენილებაში ცვლილების საკითხის განხილვა გაანაახლეს. შეხვედრა ოფიციალური სხდომის ფორმატით არ გამართულა. ცესკო-ს წევრები სადავო საკითხის გადასაჭრელად რამდენიმე საათი თათბირობდნენ. როგორც შეხვედრის დაწყებამდე ხარატიშვილმა თქვა, მსჯელობის გაგრძელების მიზანი ზოგიერთი საკითხის დაკონკრეტდებაა.მედიასაშუალებების წარმომადგენლების აზრით, დოკუმენტი ჟურნალისტების საქმიანობას ზღუდავს და ამიტომ, ის ცესკო-მ უნდა გააუქმოს.თუმცა გუშინ ცესკო-ს წევრებმა გამოსავალის პოვნა ვერ შეძლეს. როგორც ცესკო-ს პრესსამსახურში "24 საათს" უთხრეს, თათბირი დღესაც გაგრძელდება.

საკუთარი ინფორმაცია

გაზეთ "24 საათის" გამომცემელი შპს "მვპ". რედაქტორ-გამომცემლები:
მამუკა ფაჩუაშვილი, პაატა ვეშაპიძე.
რედაქცია: სოფიკო ჩხაიძე (მთავარი რედაქტორი), რედაქტორები: მაია ჭალაგანიძე (საზოგადოება,Weekend), ინგა ალავიძე (სამართალი), დავით ნინიკაშვილი (ბიზნესი), ივა შილაკაძე (უცხოეთი)
სოფო კილასონია (რევიუ), კახა ფაჩუაშვილი (სპორტი). **რეკლამის და მარკეტინგის მენეჯერი** ირაკლი ლეჟავა ტელ: 899 22 09 49. კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), ირმა ჯიშკარიანი, თენგიზ ქირია, ნინო ყაველაშვილი
რედაქციის მისამართი: ქ თბილისი, კოსტავას ქ. № 68, საზოგადოებრივი მაუწყებელი, მე-3 კორპუსი, მე-3 სართული. ტელ: 40-94-45; 40-94-46; 40-94-47; 40-94-48 ელ-ფოსტა: public@24hours.ge

მიხეილ სააკაშვილი "შინ და გარეთ"

მარი ახსიაშვილი

საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა ნიუ-იორკში, გაერო-ს გენერალური ასამბლეის სესიაში მონაწილეობის პარალელურად, შეხვედრები გამართა ევროპელ ლიდერებთან, ასევე სხვადასხვა სახელმწიფოების და საერთაშორისო ორგანიზაციების პირველ პირებთან. პრეზიდენტის ადმინისტრაციის ინფორმაციით, საუბრის მთავარი თემები ქვეყანაში მიმდინარე პროცესები, განხორციელებული რეფორმები და მოახლოებული არჩევნები იყო.

ნიუ-იორკში ვიზიტისას მიხეილ სააკაშვილი შეხვდა პოლონეთის პრეზიდენტ ბრონისლავ კომოროვსკის და დომენიკის რესპუბლიკის პირველ პირს დანილა მედინა სანჩესს. საუბრის მთავარი თემები ორმხრივი ურთიერთობა, რეგიონული უსაფრთხოება და ოკუპირებულ ტერიტორიებზე არსებული ვითარება იყო. მხარეები ასევე შეეხნენ საქართველო-რუსეთის ურთიერთობას, კერძოდ, ჩრდილოელი მეზობლისგან მომდინარე საფრთხეებს. მიხეილ სააკაშვილის თქმით, რუსეთი კვლავ ცდილობს, სხვადასხვა მეთოდებით მოიპოვოს სხვადასხვა სახელმწიფოების მხრიდან აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის აღიარება.

დომენიკის რესპუბლიკის პრეზიდენტი საქართველოში განხორციელებული რეფორმებითაც დაინტერესდა. მისი ინიციატივით, დომენიკის ხელისუფლების წარმომადგენლები ამ რეფორმების ადგილზე გაცნობის მიზნით საქართველოს ეწვევიან. ამავე შეხვედრის ფარგლებში დანილა მედინა სანჩესმა საქართველოსთან ეკონომიკისა და ტურიზმის სფეროში თანამშრომლობის სურვილიც გამოხატა.

მიხეილ სააკაშვილი ევროკავშირის პრეზიდენტ ჰერმან ვან რომპეისაც შეხვდა. გარდა ამისა, საქართველოს პრეზიდენტმა ფრანგ კოლეგასთან გამართა შეხვედრა და მასალების მოწოდებისთვის მადლობა გადაუხადა. მისი თქმით, ეს არის პოლიციისა და ჟანდარმერიის თანამშრომლობის კარგი მაგალითი.

მიხეილ სააკაშვილის განცხადებით, ყველა პარტნიორისთვის, ვისაც აშშ-ში ხვდება, ნათელია, რომ თუ საქართველოს კურსი შეიცვლება ან მას პრობლემები შეექმნება, ორმხრივ ურთიერთობაში მიღწეულ ყველა შეთანხმებას ქარი წაიღებს. მისი თქმით, ის, რომ რამდენიმე უღირსმა და ძალიან საეჭვო ადამიანმა სხვადასხვა უწყებებში რაღაც ჩაიდინეს, არ უნდა გახდეს იმის საბაბი, რომ ქვეყნის მტრების გეგმები შესრულდეს.

"ჩვენ ახლა ვართ ევროპასთან თავისუფალი უვიზო მიმოსვლის შემოღების წკიპზე. ამას ხელი უახლოეს თვეებში მოეწერება. ამის შემდეგ ჩვენს მოქალაქეებს შეეძლებათ, ვიზის გარეშე შევიდნენ ევროკავშირის ქვეყნებში. ჩვენ ასევე ვაწერთ ხელს ასოცირების ხელშეკრულებას და ევროკავშირთან გვექნება თავისუფალი ვაჭრობა - ყველა ჩვენი ფერმერი თავის პროდუქციას ევროპულ ბაზარზე "ბაჟის" გარეშე გაიტანს, ეს ნიშნავს, რომ ათი ათასობით და ასი ათასობით ახალი სამუშაო ადგილი შეიქმნება. თუმცა, ყველა ჩვენი პარტნიორისთვის, ვისაც აშშ-ში ვხვდებით, დღესავით ნათელია, რომ თუ საქართველოს კურსი შეიცვლება ან მას პრობლემები შეექმნება, ამ ყველაფერს ქარი წაიღებს," - აღნიშნა სააკაშვილმა ევროკავშირის პრეზიდენტ ჰერმან ვან რომპეისთან გამართული შეხვედრის შემდეგ.

ამასთან, სააკაშვილმა საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიების შესახებაც ისაუბრა და განაცხადა, რომ აშშ-ში ვიზიტის ფარგლებში ყველა იმ სახელმწიფოს წარმომადგენლებს ხვდება, რომელთა მოსყიდვის მცდელობაც აქვს ან შეიძლება ჰქონდეს რუსეთს აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის აღიარების სანაცვლოდ.

"შევხვდი და მივესალმე საფრანგეთის პრეზიდენტს და ევროკავშირის პრეზიდენტს. ახლა ვხვდები სხვა კონტინენტების წარმომადგენლებს, რადგან რუსეთის ფედერაცია ძალიან ცუდად აფათურებს ხელს, რომ მიაღწიოს აფხაზეთის და ე.წ. სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის ცნობას. სპეციალურად ამისთვისაა აქ ჩამოსული ლავროვი და ისტერიკულად დარბის აქეთ-იქით, რომ კიდევ რომელიმე კუნძული ან სახელმწიფო მოისყიდოს. ახლა ვხვდები ასეთი სახელმწიფოს წარმომადგენლებს. სხვათა შორის, ამ მხრივ ჩვენმა დიპლომატიამ ძალიან წამრატებულად იმუშავა და რუსეთს გეგმები ჩავუშალეთ," - განაცხადა საქართველოს პრეზიდენტმა.

"უკან არ დავიხევთ და წავალთ წინ"

ნიუ-იორკიდან დაბრუნებული მიხეილ სააკაშვილი გუშინ გორში ჩავიდა და მოსახლეობას შეხვდა. მისი განცხადებით, ის შიდა მტრად არც ერთ პარტიას არ განიხილავს და ყველა პარტია უნდა გაერთიანდეს. მიხეილ სააკაშვილის თქმით, საერთო მიზნებისთვის ბრძოლაში ყველა აღმსარებლობის და წარმომავლობის ადამიანი ერთად უნდა დადგეს.

"არსებობს ღირებულებები, რომლებიც პარტიულ კუთვნილებაზე გაცილებით მაღლა დგას - არ შევაჩეროთ აღმშენებლობა, განათლების გაუმჯობესება, ახალი საავადმყოფოების მშენებლობა და ყველას დაზღვევა, არ დავაბრუნოთ "კანონიერი ქურდები" და ორგანიზებული დანაშაული. ეს ყველაფერი პარტიულ კუთვნილებას სცდება და ხალხი ამას არ დაუშვებს. საქართველო არასდროს დაუწვება გარე მტერს და მათი ტანკები ვერ შეაჩერებს ქართველი ხალხის ურყევ ნებას, იყოს თავისუფალი და განვითარდეს. გაერო-ში ტაშს უკრავდნენ არა ჩემი, არამედ ქართველი ხალხის მისამართით, რადგან არავის წარმოედგინა, რომ შეუძლებელს შევძლებდით. ჩვენზე ბევრად დიდი ერები დაწვნენ და გაუჩინარდნენ. ჩვენ კი ისევ ამაყად თავაწეული ვდგავართ და ვამბობთ - არასდროს დავხრით თავს, უკან არ დავიხევთ და წავალთ წინ," - აღნიშნა მიხეილ სააკაშვილმა და დასძინა, რომ რამდენიმე ნაძირალის და სადისტის დანაშაულის გამო საქართველოს მომავალი ქურდების "სხადნიაკით" არ გადაწყდება. მისივე თქმით, გაერო-ში გამოსვლისას ისე არ ნერვიულობს, როგორც გორის ისტორიულ მოედანზე.

პრეზიდენტმა გორში განხორციელებულ სარეაბილიტაციო პროექტებზეც ისაუბრა და აღნიშნა, რომ ქალაქის ცენტრით გაოგნებული და აღტაცებულია.

მიხეილ სააკაშვილმა მთელი საქართველოს მოსახლეობა გორის დასათვალიერებლად მიიწვია, რადგან, მისი თქმით, ცოტა ხანში განახლებულ ქალაქს ვეღარავინ იცნობს.

"ეს არის მოედანი, სადაც ხალხი დაგვიხოცეს, რომელიც მსოფლიომ განადგურებით სისხლით და საზიზღრობით გაიცნო და სადაც მტერი ჩვენი სახელმწიფოებრიობისთვის წერტილის დასმას ცდილობდა. საქართველო გამოცოცხლდა, წამოდგა ფეხზე და გააგრძელებს წინსვლას უკეთესი მომავლისკენ. 1 ოქტომბერი თავისი მნიშვნელობით არის ისეთივე გადამწყვეტი, როგორიც იყო 2008 წლის აგვისტო, რადგან რაც მტერმა ვერ მოახერხა პროვოკაციებით, ფრონტით, ემბარგოთი და მოსყიდვით, ცდილობს, გააკეთოს არჩევნების გარშემო ჩატარებული მანევრებით, სამხედრო კონცენტრაციით, მილიონობით შემოყრილი რუსული ფულით და ჩვენი პასუხი იქნება ისეთივე, როგორიც იყო 2008 წელს. საქართველოს თავისუფლება და მომავალი არაფერზე იცვლება და ქართველი ხალხი მას დაიცავს," - განაცხადა მიხეილ სააკაშვილმა.

გორის შემდეგ საქართველოს პრეზიდენტი გლდანში მივიდა და იქ პროფესიული კოლეჯი გახსნა. როგორც მიხეილ სააკაშვილმა სიტყვით გამოსვლისას განაცხადა, ბოლო დღეების მოვლენების ფონზე კარგად დაინახა, რისი დაბრუნებაც უნდათ.

"ვინც დღეს ხმამაღლა გაჰყვირის, ყველაზე ნაკლებად აღელვებს ძალადობა და ადამიანის შეურაცხყოფა. სამწუხაროდ ასეა. ჩვენ კი ძალიან გვანაღვლებს," - განაცხადა სააკაშვილმა და აღნიშნა, რომ ის ხალხი, ვინც ადრე ადამიანებს სახლში უვარდებოდა და ხალხს აუთოვებდა, "გვიკითხავენ ლექციებს ძალადობაზე".

"ეს ხალხი იძახის, რომ ჩვენ ვართ ჩარეულები და ეს გვინდოდა. ჩვენ ეს წლები მოვახმარეთ იმას, რომ ერთხელ და სამუდამოდ ძალადობა გაწეულიყო გვერდით, რადგან ბავშვობიდან ყველაზე მეტად რაც მეზიზღება, ძალადობაა. დღეს ამ ხალხს ძველი სისტემის დაბრუნება უნდა. ჩვენ ვქმნით სისტემას, სადაც ადამიანი იზომება არა იმით, რამდენად შეუძლია თავზე ხელი აიღოს, რამდენი ფული აქვს, ან მის უკან რომელი კრიმინალური თუ სხვა სამყარო შეიძლება იდგეს. ადამიანი გაიზომება იმით, რამდენი აქვს ნაშრომი, ნასწავლი, როგორ უყვარს თავისი ქვეყანა," - განაცხადა სააკაშვილმა.

მისი თქმით, მთავარი გარანტია, რომ ქვეყანაში იქნება წესრიგი, არის არა პოლიცია და კომფორტული ციხე, არამედ ის, რამდენად დასაქმებული იქნება ხალხი.

"როცა ხალხი დასაქმებულია, იქ ციხეებიც დაცარიელდება და არც პოლიციას ექნება ბევრი საქმე," - დასძინა სააკაშვილმა. მისივე თქმით, ათწლეულების განმავლობაში, ერთი და იგივე, რამდენიმე ათასი ადამიანი წყვეტდა ყველაფერს, ცხოვრობდა ერთ ქუჩაზე, ერთ უბანში, ერთ სამეზობლოში, მარტო ისინი სწავლობდნენ უნივერსიტეტში, მარტო მათ ჰქონდათ სამსახურები, მარტო ისინი იყვნენ მინისტრები, თანამდებობის პირები და მარტო მათ მიუწვდებოდათ ხელი ხარისხიან ჯანდაცვაზე.

როგორც პრეზიდენტმა აღნიშნა, დღეს გარკვეული ძალები ამის აღდგენას ცდილობენ.

"იმიტომ აღიზიანებს მათ ჩემი მთავრობა, რომ ჩვენ შემოვიტანეთ თანასწორობის იდეა საქართველოში, რომ დასაცინი და მეორეხარისხოვანი უბნები არ არსებობს," - განაცხადა სააკაშვილმა და დასძინა, რომ დღეს თბილისის ცენტრიც ვითარდება, თუმცა უფრო მეტად - გარეუბნები.

დავით ბაქრაძე დიპლომატებს შეხვდა

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე ქვეყანაში აკრედიტებულ დიპლომატებს შეხვდა. საუბრის მთავარი თემა წინასაარჩევნო გარემო და პროცესები იყო. დავით ბაქრაძის შეფასებით, მდგომარეობა დღეს პოლარიზებულია და ვითარების განმუხტვაში მნიშვნელოვანი როლი საერთაშორისო სადამკვირვებლო მისიებსაც ეკუთვნით. "ძალიან მნიშვნელოვანია, რომ საერთაშორისო თანამეგობრობა რაც შეიძლება აქტიურად იყოს ჩართული ამ არჩევნებში და ეს არის ერთ-ერთი გარანტი და პირობა იმისა, რომ არჩევნები მართლაც ჩატარდება მშვიდ, წყნარ და დემოკრატიულ გარემოში. ამიტომ ჩვენი სურვილია, მჭიდროდ ვითანამშრომლოთ უცხოელ პარტნიორებთან," - განაცხადა შეხვედრის შემდეგ დავით ბაქრაძემ.

გიგა ბოკერია სამართალდამცავებს რეკომენდაციას აძლევს

უწყებათაშორისი კომისიის თავმჯდომარე გიგა ბოკერია სამართალდამცავ ორგანოებს დასჯის მსუბუქი ზომების გამოყენების რეკომენდაციას აძლევს, - ამის შესახებ უშიშროების საბჭოს მდივანმა გუშინდელ პრესკონფერენციაზე განაცხადა.

მისივე თქმით, მიუხედავად იმისა, რომ პოლიტიკური სუბიექტების მხრიდან ერთმანეთის მისამართით გზავნილები მკაცრი და აგრესიულია, ეს ძალიან მშვიდობიანი კამპანიაა.

"ეს არის ძალიან მნიშვნელოვანი ჩვენი დემოკრატიისთვის. ბოლო დღეების განმავლობაში შეინიშნება ძალადობრივი ინციდენტების ზრდის შემაშფოთებელი ტენდენცია. ჩვენი მონაცემებით, დაახლოებით, 30 ადამიანი ადმინისტრაციული წესით არის დაკავებული. არიან დაჯარიმებულებიც. მინდა, მოვუწოდო სამართალდამცავებს, მნიშვნელოვანია, ამ ძალადობის გავრცელება არ მოხდეს, მაგრამ სადაც შესაძლებელია, გამოყენებული იყოს დასჯის მსუბუქი ფორმები, მაგალითად ჯარიმა," - განაცხადა ბოკერიამ და აღნიშნა, რომ ეს არის უწყებათაშორისი კომისიის მკაფიო რეკომენდაცია სამართალდამცავებისადმი.

გიგა ბოკერია პოლიტიკურ ლიდერებს მოუწოდებს, მკაფიო გზავნილი მიაწოდონ თავიანთ აქტივისტებსა და მომხრეებს. "პოლიტიკური მრწამსისა და ოპონენტების შესახებ ნეგატიური შეხედულებების მიუხედავად, კატეგორიულად დაუშვებელია ძალადობა და მისი წახალისება. მშვიდობის შენარჩუნებასა და თავისუფალი და სამართლიანი არჩევნების ორგანიზებაში ყველაზე დიდი პასუხისმგებლობა ხელისუფლებას ეკისრება, მაგრამ ძირითად პოლიტიკურ პარტიებსაც აქვთ საკუთარი წილი სერიოზული პასუხისმგებლობა - რა ტიპის გადაწყვეტილებების წახალისებას მოახდენენ მომხრეებში. ჩემთვის მიუღებელია, როდესაც საუბარია, ერთი მხრივ, სიმშვიდეზე და იქვე აღინიშნება, რომ შეიძლება მათთვის მიუღებელი ხალხი ლინჩის წესით იყოს გასამართლებული და მათი დაცვა ვერ მოხერხდეს. მიუღებელია საუბარი იმაზეც, რომ პარტიების მომხრეები პასუხს აგებენ სამართლებრივად ამა თუ იმ პარტიის მხარდაჭერისთვის," - აღნიშნა ბოკერიამ.

მერაბიშვილი ქარელისა და გორის მოსახლეობას საწარმოების ამოქმედებას ჰპირდება

პრემიერ-მინისტრი ვანო მერაბიშვილი ქარელის მოსახლეობას - ხუთი ახალი სასოფლო-სამეურნეო საწარმოს გახსნას, გორელებს კი რვა ანალოგიური ტიპის საწარმოს ამოქმედებას ჰპირდება. მთავრობის სამოქმედო პროგრამითა და წინასაარჩევნო დაპირებებით მერაბიშვილი შიდა ქართლის რეგიონში გუშინ ჩავიდა, სადაც რამდენიმე მშენებარე და დასრულებული ობიექტი დაათვალიერა.

თავდაპირველად მერაბიშვილი ქარელს ესტურმა, სადაც მშენებარე სპორტული კომპლექსი დაათვალიერა და ადგილობრივ მოსახლეობას შეხვდა. შეხვედრაზე პრემიერ-მინისტრმა ადგილობრივებს ახალი ოთხწლიანი სამთავრობო პროგრამა გააცნო და აღნიშნული პროგრამის პრიორიტეტებზე: უმუშევრობის შემცირებაზე, სოფლის მხარდაჭერაზე, ხელმისაწვდომ ჯანდაცვასა და 1000-ლარიან ვაუჩერზე ისაუბრა.

ქარელის შემდეგ პრემიერ-მინისტრმა გორში, გორიჯვართან მისასვლელი გზის მშენებლობა დაათვალიერა; გზატკეცილის სიგრძე 1500 მეტრს შეადგენს, რომლიდანაც 900 მეტრი ბეტონის საფარი იქნება. გზის გასწვრივ სანიაღვრე არხებისა და ფეხით მოსიარულეთათვის ტროტუარების მოეწყობა იგეგმება.

გორის ცენტრში პრემიერ-მინისტრმა აკაკი წერეთლის ქუჩა გახსნა, რომელსაც რეაბილიტაცია ჩაუტარდა. გორის რეაბილიტაციის ფარგლებში წერეთლის ქუჩაზე აღდგენითი სამუშაოები ჩაუტარდა 53 სახლს, მთლიანად გამოიცვალა კომუნიკაციები და დაიგო ქვაფენილი.

მოგვიანებით პრემიერ-მინისტრმა გორში მარცვლეულის საშრობიც გახსნა. ადგილობრივ ფერმერებთან საუბრის დროს მერაბიშვილმა ყურადღება მსგავსი ტიპის სასოფლო-სამეურნეო საწარმოების გაკეთების მნიშვნელობაზე გაამახვილა.

გორის მარცვლეულის საშრობი თანამედროვე ტექნოლოგიებითაა აღჭურვილი და საათში - 30 ტონა სიმინდის, ხოლო დღე-ღამის განმავლობაში 500-600 ტონა სიმინდის გაშრობა შეუძლია.

უნგრეთის პრემიერ-მინისტრი სააკაშვილს შეხვდა

უნგრეთის პრემიერ-მინისტრი ვიქტორ ორბანი საქართველოში ვიზიტს განაგრძობს. გუშინ ორბანი ჩამოსვლისთანავე გმირთა მოედანზე მივიდა და საქართველოს ერთიანობისთვის დაღუპულ გმირთა მემორიალი გვირგვინით შეამკო. ვიქტორ ორბანს მასპინძლობას თბილისის საკრებულოს თავმჯდომარე ზაალ სამადაშვილი უწევდა.

გმირთა მოედნიდან ვიქტორ ორბანი პრეზიდენტის რეზიდენციაში გაემგზავრა. ოფიციალური დახვედრის ცერემონიალის შემდეგ სააკაშვილმა და ორბანმა პირისპირ მოლაპარაკება გამართეს.

პრეზიდენტის ადმინისტრაციის ცნობით, დახურულ მოლაპარაკებაზე უნგრეთის პრემიერმა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტის სრული მხარდაჭერა გამოხატა. ამასთან, ადმინისტრაციის ინფორმაციით, ორბანმა განსაკუთრებით ის დემოკრატიული რეფორმები აღნიშნა, რომლებიც ქვეყანაში ბოლო წლებში გატარდა.

უნგრული მხარე სოფლის მეურნეობის სფეროში ერთობლივი პროექტების განხორციელების სურვილს გამოთქვამს. გუშინვე საქართველოსა და უნგრეთის სოფლის მეურნეობის სამინისტროებმა თანამშრომლობის მემორანდუმი გააფორმეს.

საქართველოში ვიზიტის ფარგლებში ორბანი ქართველ კოლეგა ვანო მერაბიშვილს და ქუთაისში, მთავრობის სახლში პარლამენტის თავჯდომარე დავით ბაქრაძეს შეხვდება. ორბანი პარლამენტის ახალ შენობასაც ეწვევა, რომელსაც პარლამენტის ვიცე-სპიკერ რუსუდან კერვალიშვილთან ერთად დაათვალიერებს.

დღეს უნგრეთის პრემიერ-მინისტრი ქუთაისის დავით აღმაშენებლის საერთაშორისო აეროპორტის გახსნის ცერემონიალშიც მიიღებს მონაწილეობას.

საკუთარი ინფორმაცია

"ეს ფაბრიკაციაა"

"ქართული ოცნების" სიის პირველი ნომერი კახა კალაძე შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ გამოქვეყნებულ მასალებს სისულელეს უწოდებს.

"არ ვიცი, ამ სისულეებზე ღირს თუ არა კომენტარის გაკეთება. ქურდებს და "ქურდულ სამყაროს" რაც შეეხება, დიახ, მე მათ ნამდვილად ვიცნობ და ისინი გახლავთ მიხეილ სააკაშვილი და ვანო მერაბიშვილი," - განაცხადა კახა კალაძემ.

მოგვიანებით "ქართული ოცნების" ქუთაისის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი გუბაზ სანიკიძე კი შსს-ს მიერ გავრცელებულ აუდიოჩანაწერს ფაბრიკაციას უწოდებს.

"ქურდებთან ცხოვრებაში არ მქონია ურთიერთობა, აბსოლუტურად სხვა გარემოში გავიზარდე. ეს სააკაშვილის ხელისუფლების ფაბრიკაციაა. რა "კანონიერი ქურდის" ციხიდან გამოყვანა? ესაა სისულელე, სიბრიყვე და სააკაშვილის ხელისუფლების აგონია," - განაცხადა გუბაზ სანიკიძემ, რომლის თქმითაც, ვალერი ხაბურძანია მისი ბავშვობის მეგობარია.

"ვალერი ხაბურძანია ჩემი ბავშვობის მეგობარია. რამდენადაც მახსოვს, ხაბურძანია "ვარდების რევოლუციის" გმირი იყო, ახლა როდის აქეთ გახდა დამნაშავე?" - განაცხადა გუბაზ სანიკიძემ.

"ქართული ოცნების" მაჟორიტარობის კანდიდატი ზუგდიდში ირაკლი ალასანია შს სამინისტროს მიერ გუშინ გავრცელებულ მასალებს სისულელეს და ფაბრიკაციას უწოდებს.

"ეს არის სისულელე, ეს არის სრული ფაბრიკაცია. ბოლო დღეების განმავლობაში სააკაშვილი, მერაბიშვილი, უგულავა, კუდ-ის თანამშრომლები ჩამოსხდნენ და ყველა მასალის, რაც კი უკანონოდ ჩაწერილი ჰქონდათ, დამონტაჟება დაიწყეს. დამთავრებულია მათი საქმე, 1 ოქტომბერს, ფაქტობრივად, ხალხის ნება გაფორმდება და ყველა ეს საქმე - უკანონო თვალთვალის, უკანონო ჩაწერების და ფაბრიკაციების, გამოძიებული იქნება და ჩემ მიერ ჩამოთვლილ პირებს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა დაეკისრებათ," - განაცხადა ალასანიამ.

"ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის" თავმჯდომარის მოადგილე გურამ ჩახვაძე აცხადებს: "ჩემს მოქალაქეებს მივმართავ და ვეუბნები: არსებობს ანდაზა - ვაის გავეყარე და უის შევეყარე. ეს არჩევანი უნდა გაკეთდეს."

"ლეიბორისტული პარტიის" ლიდერი შალვა ნათელაშვილი შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ გავრცელებულ ფარულ ვიდეოჩანაწერებს, სააკაშვილის ჩვეულ ტელეპროვოკაციად აფასებს. ნათელაშვილი იხსენებს, რომ მსგავსი ტელეპროვოკაცია მის წინააღმდეგაც განხორციელდა და ის, რაც დღეს საზოგადოებამ იხილა, სისულელეა.

"ე.წ. კანონიერი ქურდიც, პროფესორიც და მწერალიც ჩვენი მოქალაქეა და პოლიტიკოსი შეიძლება, ყველას შეხვდეს და ესაუბროს. დღეს შინაგან საქმეთა სამინისტრომ გამოაქვეყნა სააკაშვილის მექსიკური სერიალების 905-ე სერია," - განაცხადა შალვა ნათელაშვილმა.

პარტია "ახალი მემარჯვენეების" თავმჯდომარე დავით გამყრელიძის განცხადებით, არჩევნებამდე 5 დღით ადრე პარტია ორგანიზაციულადაც და სტრუქტურულადაც სასურველი შედეგის მისაღწევად სრულ მზადყოფნაშია.

"ამ უკიდურესი დაპირისპირების და კომპრომატების ომის ფონზე ძალიან ბევრია ამომრჩეველი, რომელიც ორივე მხარეს ემიჯნება და სიმშვიდის და სტაბილურობის სასარგებლოდ აკეთებს არჩევანს. მთავარია, ბოლო ოცი წლის მანძილზე ერთხელ მაინც მივაღწიოთ, რომ საქართველოში დაბალანსებული პარლამენტი გვყავდეს და ქვეყნის ერთპიროვნულად მართვა აღარავის შეეძლოს," - განაცხადა დავით გამყრელიძემ.

შპს "პროფესიული ინოვაციების კოლეჯი" პროფესიულ სტუდენტთათვის აცხადებს მიღებას შემდეგ სპეციალობებზე:

ბუღალტრის მესამე საფეხური - 35 ადგილი; ბუღალტრის მეოთხე საფეხური - 35 ადგილი; საბაჟო წარმომადგენლის (სასაქონლო ოპერაციების სპეციალისტი) მესამე საფეხური - 80 ადგილი; ტუროპერატორის მესამე საფეხური - 80 ადგილი; ტუროპერატორის მეოთხე საფეხური - 70 ადგილი; ინფორმაციული ტექნოლოგიის მესამე საფეხური - 50 ადგილი; ფარმაცევტის თანაშემწის მეხუთე საფეხური - 70 ადგილი; ექთნის თანაშემწის მესამე საფეხური - 34 ადგილი; მასაჟისტი - 50 ადგილი.

აღსანიშნავია, რომ "პროფესიული ინოვაციების კოლეჯს გაფორმებული აქვს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი სხვადასხვა უწყებებთან, რომლებიც უზრუნველყოფენ პროფესიული სტუდენტებისთვის საწარმოო პრაქტიკის ჩატარებას, ხოლო სწავლის დასრულების შემდეგ პარტნიორი დაწესებულებები ხელს შეუწყობენ კურსდამთავრებულთა დასაქმებას. ეს უწყებებია: შემოსავლების სამსახური, "ავერსი", "ტაოპრივატბანკი", აკადემიკოს ნ. ყიფშიძის სახელობის ცენტრალური საუნივერსიტეტო კლინიკა, ტურისტული სააგენტო შპს "ევრიკა", შპს "ჯი თი ექსპრესს სერვისი", ბუღალტრული ფირმა შპს "ბასტიონი" და კომპიუტერული ფირმა შპს "აი ტი აი".

დაინტერესებულმა პირებმა (ჩარიცხვის მსურველებმა) 27 სექტემბრის ჩათვლით შპს "პროფესიული ინოვაციების კოლეჯში" უნდა წარადგინონ: განცხადება (კოლეჯში შესაბამის სპეციალობაზე მიღებასთან დაკავშირებით); პირადობის მოწმობის ასლი (არასრულწლოვანი პირის შემთხვევაში დაბადების მოწმობის ასლი და კანონიერი წარმომადგენლის (დედა, მამა, მეურვე) პირადობის მოწმობის ასლი); ორი ფოტოსურათი 3X4-ზე; სრული ზოგადი საბაზო ან საშუალო საფეხურის განათლების მიღების დამადასტურებელი დოკუმენტი; მომსახურების საფასურის 50 (ორმოცდაათი) ლარის შპს "პროესიული ინოვაციების კოლეჯის საბანკო ანგარიშზე ჩარიცხვის დამადასტურებელი დოკუმენტი. დამატებითი ინფორმაციისთვის მოგვმართეთ: თბილისი ალ. ყაზბეგის გამზირი 47, ტელ: 790 11 96 96, 790 11 69 69; ვებ-გვერდი: www.pic.com.ge

შსს ახალ ჩანაწერებს აქვეყნებს

პირველი გვერდიდან

ფარული ჩანაწერების გამოქვეყნებიდან რამდენიმე საათში შსს-მ კიდევ ერთი ინფორმაცია გაავრცელა, ამჯერად, მათ მიერ აუდიოჩანაწერში დაშვებული ტექნიკური ხარვეზის შესახებ, რისი გასწორებაც ჟურნალისტებს სთხოვა: **"ჩვენს მიერ დღეს გავრცელებულ ფარულ აუდიოჩანაწერში გაიპარა ტექნიკური შეცდომა. ადამიანი, რომელიც საუბრობს დათო ხიზანიშვილთან არის არა გიორგი უგულავა, არამედ გივი ბლიაძე. გიგზავნით ბლიაძის ფოტოს და გთხოვთ, თქვენს ინფორმაციებში შეასწოროთ აღნიშნული ხარვეზი".**

სრულად გთავაზობთ შსს-ს მიერ გავრცელებულ ფარულ სატელეფონო ჩანაწერებს.

კახა კალაძისა და უცხო პირის საუბარი

- იმ დღეს მე რომ ჩავდი იმათთან დავიძინე ცოტა და მერე ჩავედით ქვემოთ რაა და რვა სული ქურდი "სიმონ" ჩემეხუტნენ, გადამეხვივნენ, გადამკოცნეს და აბა თქვენ იცითო!

- ქუთაისლები იყვნენ?

- კი ჩაკვეტაძე, ნემსიწვერაძე, თელაძე...

- ხო...

- კი

- არსენას ბიჭი ხო?

- ა? ხო

- არსენას ბიჭი, ჯემალი

- რომ ვთქვი, რომ ცუდი ამბავია მეთქი, ვინმემ ხომ არ გადაიღო მეთქი რაა...

გუბაზ სანიკიძე და ვალერი ხაბურძანია

- ვალერი, აგერ ასეთი ამბავი, მოსკოვში ზის ქუთაისელი ქურდი...

- მერე რა გინდა?

- ხოდა, რაღაცა პერეპალოხებში გაება რა, დედ ჰასანას და იმის იმაში, მაგი არის ამერიკაში. გრინ კარტა აქვს და ცხოვრობს იქ. მიუსაჯეს ცხრა წელი. მოკლედ, გამოსვლა უნდა და წამოსვლა უნდა და ჩვენ შეგვიძლია რამე გავაკეთოთ რომ გამოუშვათ?

- შეიძლება!

- ჰოო?

- ამერიკაში წავა?

- ადგება და წავა, აღარ გამეიხედავს აქეთ...

- დაახლოებით შენ რას ფიქრობ... დასადებია

- რა ვიცი, რასაც მეტყვი

- მე ვუთხრა? მე უნდა ვუთხრა ვის, ვის უნდა ვეკონტაქტო? მე შენ ჩემ ნომერს იმას იზამ...

- შენ სადამდე ხარ აქ?

- მე ხვალ მივდივარ

- ეუფ

- არაა პრობლემა, შენ დაგელაპარაკები და მეტყვი რომ რაღაც ვირუსი აქვს ვახოს და ასე "ცინკებს"...

- დაგიწერ რაღაცას ფურცელზე და სკაიპში გაჩვენებ...

- ვინ არის ის საკონტაქტო ხომ იწერება...

- არა ქუთაისელია ეს ბიჭი ვალერა. ვალერი მარგიანი შეიძლება იცი, კაი ბიჭია

- მე ჯერ მოვიკითხავ. და შენ მერე შეგატყობინებ რო ისა რა ქვია რა კი თქო.

- იმ საქმეზე "ბიჭია"

- ჰო. კი თქო. გეტყვი რა რომ შეიძლება ბიზნესის გაკეთება და ეს კაცი დამიკავშირდეს-თქო რა.

- ჰო

- და ამ კაცს კიდევ დავუკავშირდი და მიცემენ ჩემს ტელეფონს და დამირეკოს მე.

- ის მოგძებნის შენ

- ჰო, ვსიო

- ჰოდა შენ უთხარი ის, რაც არის

- ჰო, ხარაშო

დავით ხიზანიშვილი "კანონიერი ქურდი" და გივი ბლიაძე

- რა არის ბიჭო, შენ რეებს აკეთებ, რა "ნაციონალები" და არა "ნაციონალები", რამე ხომ არ გეშლება...

- არა დავით, ეგ რა შუაშია...

- აბა, რატომ ახსენე ეგ სიტყვები...

- არა, დავით როდის ვახსენე, აგერ მე და ანზორა ვართ ერთად, რა "ნაციონალები"...

- დამახიეთ თქვენი "ნაციონალები" ერთ ადგილზე, შენ გაჩვენებ "ნაციონალებს", შე, მაიმუნო შენა... ბიჭო, ზედმეტი მოგდის გაიგე? გადაგიგლიჯავ მაგ თავს ბიჭო, გაიგე? არაფერი შეგეშალოს...

- არა, "ხიზან", რეებს ამბობ, რატომ მეუბნები მაგას, არ ყოფილა, ამ მითქვამს ეგეთი არაფერი...

ვოვა ერემიანი და ლევან რევიშვილი "კრიმინალური ავტორიტეტი"

- ლევან, "ზდაროვა", ვოვა ვარ

- "ზდაროვა" ძმა, რავა ხარ

- ბიჭო, მომისმინე, "ხიზანამ" რაც დამავალა, ყველაფერი ხუთიანზე შევასრულე რა, "300 არაგველებზე", მეტეხის უბანში, წურწუმიაზე ხალხი "იმენნო" "ოცნებას" აძლევს ხმას...

- აჰაა, კარგია, კარგი, ჯიგარი ხარ... ბიჭო, ავლაბარი და ელია შენი საჩალიჩოა ხომ იცი

- კი, კი ლევან, იმენნა ყველაფერს ვაკეთებ რა...

ლევან რევიშვილი კრიმინალური ავტორიტეტი" და ზაზა ჯიმშიტაშვილი

- ალო, ზაზა როგორ ხარ

- ხო ლევან, კარგად შენ როგორ ხარ "ბრატ"

- ბიჭო, მომისმინე ერთი, ეს დედა მოტ... რა, "ხიზანა" რომ გელაპარაკა, რა ხდება მაგ საქმესთან დაკავშირებით, ჩემი ძმა ერთი მითხარი რა, ჩემი დედა ვატირე რაა...

- რავი, მაქსიმალურად ვცდილობ ყველაფერს რა, ყველაფერი კარგად იქნება.

- ბიჭო, მომისმინე რა, ეს შენი ტიპები უნდა გადმოქაჩო "ოცნებისკენ", უეჭველი... - ვეცდები არ გამაგონო ჩემი დედა მოვტყ... რაა, კაცზე სიტყვა გაქვს ნათქვამი... ეს სიტყვა უნდა შესრულდეს და ეგ საქმე უნდა გაკეთდეს რა..

- კი, "ბრატ", ბოზ....შვილი ვიყო ყველანაირად ვეცდები რა ძმაო...

ლევან რევიშვილი "კრიმინალური ავტორიტეტი" და უცნობი პიროვნება

- რავა ხარ ჩემი ძმა შემოგევლე...

- კარგად, კარგად, შენ?

- რა ვიცი "ბრატ", ვარ რა ნელ-ნელა... ბიჭო რაზე გირეკავდი...

- "ხიზანას" უნდა "პავლოვიჩთან" (შსს-ს განცხადებით, ლაშა შუშანაშვილი) დალაპარაკება და ტელეფონიც გამორთული აქვს "პავლოვიჩს" "სიმონ" და სკაიპშიც არ შემოსულა და რა ვქნა როგორ მოვიქცე?

- რა ხდება?

- აი, ბიჭო, იმ საქმეზე, არაფერი რა... რაც უთხრა "კაროჩე" ის ყველაფერი დაალაგა და გააკეთა რა და დალაპარაკება უნდოდა რა... უნდა რა "ვაფშე" დალაპარაკება...

- აზრზე ვარ მაგ "ბაზარზე" ბიჭო. "კაროჩე" რაა... მაგათ ის თემები უჭირთ ბიჭო მარნეული და აზერების "ბაზარი" და "ვაფშე" ახალციხის და "კაროჩე" რაა... ის ნახე რომ გამოვუშვით ორი ავტობუსი? ბიძინა, ბიძინა რომ ვაძახებინეთ?

- კი, კი ჯიგრულად, შენ შემოგევლოს ჩემი თავი... ძმაო, ყველაფერი "საკაიფოდ" რაა... ბიჭო, მაგრად მენატრები ტო...

- აუ, მეც მაგრად მომენატრე "ბრატ" და მალე მე მგონი გნახავ რა და "ვაფშეტა" ისეთი "ბაზარია" "პავლოვიჩი" იძახის სამშიო "კაროჩე, ოქტომბერსო, "იმენნა" თბილისში ვიქნებიო რაა... თუ გამოვიდა წამოვალთ და წამოვალთ რა მაგის დედაც...

- შემოგევლეთ ძმაო, შემოგევლეთ! მიდით ძმაო და ჩვენ აქ დაგხვდებით რაა...

- აღარ არის დრო... "კაროჩე" რაა...

- კიი ძმაო, რას ამბობ, შენ შემოგევლე ტო... ჯიგარი ხარ რა...

- ყველაფერი ჯიგრულად იქნება...

გუშინ, მოგვიანებით ცნობილი გახდა, რომ გამოქვეყნებულ ჩანაწერებში "კრიმინალურ ავტორიტეტად" მოხსენიებულმა ლევან რევიშვილმა, რომელიც, ადრე ნასამართლევი არ ყოფილა, გამოძიებასთან ითანამშრომლა და ამჟამად, მოწმეთა დაცვის პროგრამით სარგებლობს. მოგვიანებითვე, ლევან რევიშვილის თაობაზე კიდევ ერთი ინფორმაცია გავრცელდა, რომლის მიხედვითაც, "კრიმინალურ ავტორიტეტად" მოხსენიებული ლევან რევიშვილი "ნაციონალური მოძრაობის" კოორდინატორია. გავრცელდა ფოტოებიც, სადაც რევიშვილს "ნაციონალების" მაისური აცვია.

სააგენტო "ინტერპრესნიუსის" მიერ გავრცელებული ინფორმაციით, შსს-ს აუდიოჩანაწერში კრიმინალურ ავტორიტეტად მოხსენიებული ლევან რევიშვილის მეზობლები ინფორმაციით გაკვირვებულები არიან. როგორც "ინტერპრესნიუსს" ვარკეთილში მცხოვრები ლევან რევიშვილის მეზობლებმა განუცხადეს, მისი კრიმინალობის შესახებ ინფორმაცია არ აქვთ, თუმცა იციან, რომ რევიშვილი "ნაციონალური მოძრაობის" შეკრებებზე დადიოდა. ერთ-ერთი მეზობლის თქმით, რევიშვილი ხშირად ჩანს ტელეკადრებში გიგი უგულავასთან და "ნაციონალური მოძრაობის" სხვა ლიდერებთან ერთად მოსახლეობასთან გამართული შეხვედრების დროს.

"მისი კრიმინალობა არავის სმენია. არაჩვეულებრივი ოჯახი ჰყავს. მისი მეუღლე მასწავლებელია," - აცხადებენ მეზობლები. სააგენტოს ჟურნალისტები ეცადნენ რევიშვილის ოჯახის წევრებთან გასაუბრებას, თუმცა სახლში არავინ იყო.

გავრცელებული ინფორმაცია რევიშვილის კოორდინატორობის შესახებ "ნაციონალური მოძრაობის" პრესსპიკერმა ჩიორა თაქთაქიშვილმა კატეგორიულად უარყო.

ფრანგული მხარის უკმაყოფილება და ქართული განმარტება

პირველი გვერდიდან

ქართველ ოპოზიციონერსა და საფრანგეთში მოქმედ ქართული წარმომავლობის კრიმინალურ ჯგუფებს შორის შესაძლო გარიგებას ეხება. საფრანგეთის ხელისუფლებას ამ ინფორმაციის გამოქვეყნების ნებართვა არ გაუცია. ამ საქმის გამოყენებამ, შესაძლოა, არჩევნების წარმატებით ჩატარებაზე იმოქმედოს თუ გავითვალისწინებთ ბოლო დღეებში გავრცელებულ ინფორმაციებს, საქართველოს გამოსასწორებელ დაწესებულებებში წამების შესახებ. საფრანგეთი საქართველოს ხელისუფლებას კვლავ მოუწოდებს, ყველაფერი იღონოს იმისათვის, რომ არჩევნები მშვიდ გარემოში ჩატარდეს," - ნათქვამია საფრანგეთის საგარეო უწყების ოფიციალურ განცხადებაში.

საქართველოს იუსტიციის სამინისტროსა და მთავარ პროკურატურაში განმარტავენ, რომ ქართულ მხარეს საფრანგეთის შესაბამისი უწყებების წინაშე ინფორმაციის კონფიდენციალურობასთან დაკავშირებით ვალდებულება არ აუღია და ეს თხოვნა არც საფრანგეთის სასამართლოს და ეროვნული ჟანდარმერიის მხრიდან ყოფილა. **"საფრანგეთის ეროვნულ ჟანდარმერიას, კომპეტენტურ უწყებას საფრანგეთის მხრიდან, რომელთანაც ბოლო პერიოდში აქტიური თანამშრომლობა გვქონდა, მადლობა მინდა გადავუხადო მოწოდებული ინფორმაციისთვის და გაწეული თანამშრომლობისათვის. ამავდროულად, გაკვირვებული ვარ საფრანგეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადებით. საქმე იმაშია, რომ დიპლომატიური სტრუქტურები საქართველოსა და საფრანგეთის ამ თანამშრომლობაში ჩართული არ ყოფილან. თანამშრომლობა და ურთიერთდახმარება განხორციელდა ევროპული კონვენციის თანახმად. კერძოდ, ამ კონვენციის მე-13 მუხლი პირდაპირ ითვალისწინებს ორი ქვეყნის კომპეტენტური უწყებების პირდაპირ კომუნიკაციას და თანამშრომლობას,** - განმარტავს თინა ბურჯალიანი. მისივე თქმით, სამართლებრივი დახმარების თხოვნა, რომელიც საქართველოს პროკურატურამ გაუგზავნა საფრანგეთის სასამართლოს, სრულად დაკმაყოფილდა.

რაც შეეხება საფრანგეთის ეროვნული ჟანდარმერიის მიერ ინფორმაციის ფაქსით მოწოდებას, თინა ბურჯალიანი მასალების ამ ფორმით მიღებას მის მნიშვნელობას უკავშირებს. იუსტიციის მინისტრის მოადგილის თქმით, სამინისტროს ხელთ აქვს ყველა ინფორმაციის ორიგინალი. სწრაფი კომუნიკაციის საშუალება კი სწორედ იმიტომ იყო გამოყენებული, რომ უაღრესად მნიშვნელოვანი ინფორმაცია საქართველოს მთავარ პროკურატურას, რაც შიძლება სწრაფად უნდა მიეღო, რადგან საქმე ეხება ეროვნული უსაფრთოების მნიშვნელოვან საკითხებს და ასევე, საჯარო პირების შესაძლო დანაშაულებრივ ქმედებებს.

"შემიძლია, წარმოვადგინო ორიგინალი დოკუმენტის თავსართი წერილი, რომელიც ადასტურებს, რომ ინფორმაცია გადმოგზავნილია ეროვნული ჟანდარმერიის მხრიდან და არანაირი მოთხოვნა კონფიდენციალურობის შესახებ არ არის," - აცხადებს იუსტიციის მინისტრის მოადგილე. მისივე ინფორმაციით, ჟანდარმერიის მიერ მოწოდებული მასალა საკმაოდ ვრცელი მოცულობის არის, მიმდინარეობს მისი დამუშავება და შესაბამისი ორგანოები, სავარაუდოდ, ამ ინფორმაციას საზოგადოებას მიაწვდიან.

საქართველოს იუსტიციის მინისტრის მოადგილის საპასუხოდ, საფანგეთის ელჩმა რენე სალენსმა განაცხადა, რომ საიდუმლო ინფორმაცია, რომელიც ქვეყნებს შორის იცვლება, არ შეიძლება საზოგადოებისთვის ღია იყოს. ელჩის განმარტებით, როგორც სხვა ქვეყნებს შორის, ასევე, საქართველოსა და საფრანგეთს შორის არსებობს ურთიერთანამშრომლობა კრიმინალთან ბრძოლაში და ქვეყნებს შორის ხდება ინფორმაციის გაცვლა. ზოგიერთი ინფორმაცია კი რომელიც იცვლება, ხშირად ეს ეხება სიმართლის დადგენას.

"არ არის საჭირო, ზოგიერთი ინფორმაცია საზოგადოებამ იცოდეს და მათ შორის ჟურნალისტებმაც, რა გზითაც არ უნდა მოიპოვონ ის. მასალები მხოლოდ გამოძიებისთვის არის და საიდუმლო ინფორმაციად ითვლება, ამიტომ არ უნდა გახმაურდეს," - განაცხადა რენე სალენსმა.

ხელისუფლების წარმომადგენლები ირწმუნებიან, რომ ქართულ მხარეს სუვერენული უფლება ჰქონდა, თავისი კომპეტენციის ფარგლებში ვიდეო-მასალები გაესაჯაროვებინა, რადგან საქმე ეხებოდა მძიმე დანაშაულს.

"ქართველი სამართალდამცველები ქართული კანონმდებლობით მოქმედებენ და არა ფრანგული კანონმდებლობით," - ასეთია ხელისუფლების წარმომადგენლების პოზიცია.

ბანკების მოგება მცირდება

ნინო ნარჩემაშვილი

კომერციული ბანკების მოგება მცირდება. საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური მონაცემების თანახმად, მიმდინარე წლის რვა თვეში ბანკების წმინდა მოგებამ 114 მილიონი ლარი შეადგინა, რაც გასული წლის იმავე პერიოდის მაჩვენებელზე თითქმის 70 მილიონი ლარით ნაკლებია.

ექსპერტთა ნაწილი მოგების შემცირების რამდენიმე მიზეზზე საუბრობს. ეკონომიკური პრობლემების კვლევის ცენტრის განცხადებით, მოგების შემცირებაზე გარკვეული გავლენა წინასაარჩევნო პერიოდსაც აქვს. ეკონომიკური პრობლემების კვლევის ცენტრის წარმომადგენელთა თქმით, საბანკო სექტორის მდგომარეობის ცვლილება და დამძიმება ეროვნული ბანკის მიერ კანონმდებლობაში განხორციელებულმა ცვლილებებმა გამოიწვია. მათივე თქმით, ეკონომიკაში რისკები და აქტივობები შეფერხებულია, რის გამოც ბანკებმა ვერ მოახერხეს თანხების მობილიზება. ცენტრის ექსპერტების ინფორმაციით, საბანკო სექტორის მოგებას გამოეთიშა "ბანკი ქართუ", რომელსაც საკმაოდ სოლიდური მაჩვენებლები ჰქონდა.

გარდა ამისა, პლასტიკური ბარათებით ტრანზაქციები, აგვისტოს მონაცემების მიხედვით, 35,863 მილიონი ლარით შემცირდა. ეროვნული ბანკის ინფორმაციით, მიმდინარე წლის აგვისტოში ქართული კომერციული ბანკების მიერ ემიტირებული პლასტიკური ბარათებით 732,126 მლნ ლარის ოპერაციები შესრულდა, რაც, ივლისთან შედარებით, 35,863 მლნ ლარით არის შემცირებული. ივლისში პლასტიკური ბარათების მფლობელებმა 767,989 მლნ ლარის ოპერაციები შეასრულეს.

აგვისტოში შესრულებული ოპერაციებიდან, 697,777 მლნ ლარის ტრანზაქციები საქართველოს ტერიტორიაზეა შესრულებული, ხოლო 34,348 მლნ ლარის - საზღვარგარეთ.

ქვეყნის ტერიტორიაზე შესრულებული ოპერაციებიდან 484,737 მლნ ლარის ბანკომატების საშუალებით არის შესრულებული, 45,398 მლნ ლარის - ბანკებში არსებული პოსტერმინალებით, ხოლო 167,643 მლნ ლარის - სავაჭრო ობიექტებში არსებული პოსტერმინალებით.

აღსანიშნავია ისიც, რომ 15 სექტემბრიდან საქართველოს კომერციული ბანკები ვალდებული არიან, საკუთარ ბანკომატებში, უცხოური ან ადგილობრივი ბარათებით ოპერაციებისას, ამოიკითხონ და შეინახონ ინფორმაცია ბარათის მფლობელის სახელისა და გვარის შესახებ. ასეთი შინაარსის წერილობითი მოთხოვნა ცოტა ხნის წინ საქართველოს ეროვნულმა ბანკმა (სებ) ქვეყნის ფინანსურ ინსტიტუტებს გაუგზავნა. სებ-ის ამ რეგულაციას კონკრეტული შედეგი უკვე მოჰყვა, მაგალითად ბანკმა "ქართუმ" განაცხადა, რომ ამიერიდან თავის ბანკომატებში სხვა ბანკების ბარათებს ვეღარ გაანაღდებს.

ბანკი "ქართუს" ვებგვერდზე გამოქვეყნებულ განცხადებაში აღნიშნულია, რომ მათი საპროცესინგო ცენტრის საბარათო ბიზნესის მუშაობა მსოფლიოში ერთ-ერთი უდიდესი კომპანიის, ACI Worldwide Ltd-ის პროგრამულ უზრუნველყოფაზეა დაფუძნებული, რომელიც არ ითვალისწინებს ბანკომატებსა და ტერმინალებში გამოყენებისას უცხოური ბარათების კლიენტის სახელისა და გვარის რეგისტრაციას. ბანკში ასევე ამბობენ, რომ მომხმარებელს, უსაფრთხოების მიზნით, ყველა ოპერაციაზე ერთჯერადი, დინამიკური პაროლი ეგზავნება და პროცესინგისთვის მეორეხარისხოვანი ინფორმაციის წაკითხვა გათვალისწინებული არ არის.

სებ-ის ინსტრუქციების შეუსრულებლობისთვის რაიმე სანქციის ასარიდებლად "ქართუ" იძულებული გახდა, 15 სექტემბრიდან გაეთიშა მის ბანკომატებში როგორც უცხოური, ისე ადგილობრივი ბარათების განაღდების შესაძლებლობა. ეს შეზღუდვა "ქართუს" მიერ გამოშვებულ პლასტიკურ ბარათებზე არ ვრცელდება.

"ახალგაზრდა ბიზნესმენთა და ფინანსისტთა ასოციაციაში" მიაჩნიათ, რომ ეროვნული ბანკის ეს რეგულაცია უკანონო კონტროლის კიდევ ერთი მექანიზმია.

საქართველოს ეროვნული ბანკის განცხადებით, "საქართველოს ეროვნული ბანკი ვალდებულია, გაითვალისწინოს ევროპის საბჭოს ფულის გათეთრების წინააღმდეგ მიმართულ ღონისძიებათა შემფასებელ რჩეულ ექსპერტთა კომიტეტის (Moneyval) რეკომენდაციები. ისინი მსოფლიოში ტერორიზმის დაფინანსებისა და ფულის გათეთრების წინააღმდეგ საბრძოლველად არის მიმართული.

საერთაშორისო სტანდარტების თანახმად, ნებისმიერი ტრანზაქცია საკრედიტო ან სადებეტო ბარათების მეშვეობით იმგვარად უნდა განხორციელდეს, რომ უზრუნველყოფილ იქნას ბარათის მფლობელის საიდენტიფიკაციო მონაცემების ასახვა და შენახვა. საქართველოს ეროვნულმა ბანკმა კონსულტაციები გამართა "ვიზასა" და "მასტერკარდთან" და მიიღო მათგან დასტური, რომ ეს მითითება არ ეწინააღმდეგებოდა მონაცემთა დაცვის სტანდარტებს. ეროვნულ ბანკს არ მოუთხოვია არც ერთი კომერციული ბანკისთვის თავის ბანკომატებში უცხოური და ადგილობრივი ბარათების განაღდების შესაძლებლობის გათიშვა და მითითების შეუსრულებლობა არც რაიმე სანქციის ავტომატურ რეჟიმში დაწესებას გულისხმობდა. შესაბამისად, ეროვნული ბანკის წერილობითი მითითება არ უქმნის საფრთხეს საბანკო ბარათების მფლობელებს, თუ კომერციულმა ბანკმა თავად არ გადაწყვიტა კლიენტებისთვის ბარათების მომსახურების შეჩერება".

"ახალგაზრდა ბიზნესმენთა და ფინანსისტთა ასოციაციის" პრეზიდენტი ნოდარ ჭიჭინაძე აღნიშნავს: "არც ერთ სხვა ქვეყანაში არ ვიცნობ მსგავს პრეცედენტს, რომ ბანკომატით ტრანზაქციის განხორციელებისას კლიენტის სახელისა და გვარის იდენტიფიცირება ხდებოდეს. თავად "ვიზა" და "მასტერკარდი" ჰყიდიან ინფორმაციას კლიენტების სავაჭრო ტრანზაქციების შესახებ, ოღონდ მხოლოდ იმას, რა შეიძინა კლიენტმა, რა მოცულობით და სხვა. ოღონდ კლიენტის ვინაობის გამჟღავნება სრულიად წარმოუდგენელია. ბანკისა და კლიენტის ურთიერთობაში ნებისმიერი სხვა, მესამე პირის ჩარევა არის საბანკო სისტემის პრინციპებიდან გადახვევა. ეროვნული ბანკის ეს წერილობითი ინსტრუქცია, გარდა იმისა, რომ იდეურად გაუმართლებელია, ტექნიკური თვალსაზრისით მისი შესრულება ზოგი ბანკისთვის, შესაძლოა, რთული აღმოჩნდეს.მთელი საბანკო სისტემა დღეს გაჩუმებულია და შედეგიც სახეზეა - ყველაზე ზარალიანი დღეს ბანკი "ქართუა", ხოლო მომგებიან ბანკებს ყველა კარგად ხედავს. მაგრამ ამ უსამართლობაზე თვალის დახუჭვა, პასიური დამოკიდებულება, მიჩუმათება ყოველი ბანკის მხრიდან აუცილებლად წინ დახვდება საბანკო სექტორს. ვრცელდება ინფორმაცია, რომ შეფერხებებია სომხური "ამერიაბანკის" შემოსვლასთან დაკავშირებით, რომელსაც, ფაქტობრივად, უკვე გადაწყვეტილი ჰქონდა საქართველოს ბაზარზე შემოსულიყო. მსგავსი ფაქტებით, რაც ბოლო დროს საქართველოს ფინანსურ სექტორში ხდება, მხოლოდ ინვესტიციები კი არ შეიზღუდება საბანკო სექტორში, არამედ უკვე მოქმედ ბანკებსაც სანდოობის თვალსაზრისით პრობლემები შეექმნებათ."

ქართული თხილი, მეორე პოზიცია საექსპორტო ათეულში

სოფო ჩხლაძე

ადგილობრივი წარმოების თხილი საქართველოს საექსპორტო პროდუქციის ათეულში ისევ მოწინავე ადგილზეა. "საქსტატის" მონაცემებით, ამ ჩამონათვალში პირველ ადგილზე მსუბუქი ავტომობილების ექსპორტია, შემდეგ მოდის ფეროშენადნობები, აზოტოვანი სასუქი, თხილი და კაკალი.

აღსანიშნავია, რომ ქართული თხილის წილი მთლიან ექსპორტში ერთი წლის მანძილზე გაორმაგდა და 3,7 პროცენტი შეადგინა.

"საქსტატის" მონაცემებით, 2012 წლის იანვარ-აგვისტოში ექსპორტზე 57,732 მლნ აშშ დოლარის ოდენობის ქართული თხილი გავიდა, 2011 წლის იანვარ-აგვისტოში კი 28,887 მლნ აშშ დოლარის ოდენობის პროდუქციაა ექსპორტირებული.

ქართულ თხილს ადგილობრივი ბაზარი ძალიან მცირე რაოდენობით მოიხმარს - 1-2 პროცენტამდე. მისი დიდი ნაწილი - 98-99 პროცენტი ექსპორტზე როგორც ევროპის, ისე აზიის ქვეყნებში გადის. ქართულ ნაწარმს ყველაზე დიდი ოდენობით გერმანიაში მოიხმარენ, შემდეგ მოდის იტალია, ესპანეთი, ინგლისი, საფრანგეთი, ბელგია და ა.შ. წელს საკმაოდ დიდი რაოდენობით ხდება ქართული თხილის რეალიზება რუსულ ბაზარზე. აღსანიშნავია, რომ, ჯამში, პროდუქცია 30-ზე მეტ ქვეყანაში იყიდება და ექსპორტს 50-მდე კომპანია ახორციელებს. ექსპორტზე რამდენიმე სახეობის თხილი გადის. ძირითადად, დამუშავებული ნატურალური თხილის გული, მოხალული თხილი, დაქუცმაცებული თხილი და თხილის ფქვილი. უცხოეთის ბაზარზე ასევე იყიდება ქართული წარმოების გაურჩეველი თხილი. **"საერთაშორისო ბაზრებზე ქათული თხილის შესყიდვას ახორციელებენ როგორც ბროკერები, ასევე შოკოლადის მწარმოებელი ქარხნები. წელს რუსეთის ბაზარზე თხილის ფასი საკმაოდ მაღალია. ერთი კილოგრამი ნატურალური თხილის გული 7 დოლარამდე ღირს. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ამაში შედის ტრანსპორტირება და დღგ. დამატებითი ღირებულების გადასახადი კი 20 პროცენტამდეა. ამიტომ, სწორედ ფასიდან გამომდინარე, ამ ეტაპზე ქართული თხილის დიდი ნაწილი ექსპორტზე რუსეთში შედის. რუსულ ბაზარზე ექსპორტის კუთხით რამდენიმე ქართული კომპანია მუშაობს,"** - გვითხრა თხილის ექსპორტიორთა კავშირის თავმჯდომარემ მამუკა თოდუამ.

თხილის ფასი ევროპაში წელს გაცილებით დაბალია, ვიდრე შარშან იყო. ერთი კილოგრამი ნატურალური თხილის გული იქ 5 დოლარამდე ღირს. სპეციალისტთა განცხადებით, წელს თხილის საკმაოდ მაღალი მოსავალია თურქეთში, რომელიც მსოფლიო ბაზრის ერთ-ერთი მსხვილი მომმარაგებელია. ფასის შემცირების ერთ-ერთი მთავარი მიზეზი სწორედ ეს ფაქტორი იყო. ევროპაში არსებული დაბალი ფასის გამო იქ ქართული თხილი დღეისათვის, ფაქტობრივად, არ შედის.

რაც შეეხება ადგილობრივ ბაზარზე არსებულ ფასებს, აქ ფერმერები ერთ კილოგრამ გაურჩეველ თხილს 3 ლარად ყიდიან. საქართველოში დღეისათვის 10-მდე მცირე ზომის საწარმო ფუნქციონირებს. ისინი ქართულ თხილს აფასოვებენ და სარეალიზაციოდ ადგილობრივ

სუპერმარკეტებში შეაქვთ.

გასულ წელს საქართველოში 50 ათასი ტონა თხილი დაიკრიფა. წელს კი, წინასწარი პროგნოზით, მისი მოცულობა 35 ათასამდე იქნება. მოსავლის შემცირების მიზეზად სპეციალისტები არახელსაყრელ კლიმატურ პირობებს ასახელებენ.

საქართველოში თხილის ყველაზე კარგი მოსავალი სამეგრელოსა და აფხაზეთში მოდის. ამ მხრივ მესამე პოზიციაზეა გურია, შემდეგ - იმერეთი და კახეთი. რაც შეეხება ხარისხს, როგორც სპეციალისტები ამბობენ, ის მეტ-ნაკლებად კარგია. მოსავლის ყველაზე დიდი რაოდენობა მეგრული ჯიშის თხილებზე მოდის, რომელსაც მრგვალ ანაკლიურ ჯიშს ეძახიან.

"თხილის საექსპორტო კომპანია" ადგილობრივ ბაზარზე უკვე ექვსი წელია საქმიანობს. კომპანიის ხელმძღვანელი ბეგი სიორიძე ამბობს, რომ მათ არ აქვთ ნარგავები და თხილს მოსახლეობისაგან ძირითადად გურიაში ყიდულობენ.

ბეგი სიორიძის განმარტებით, ევროკავშირის ბაზარზე ქართულ თხილზე მოთხოვნა იზრდება. "ადგილობრივ ბაზარზე ქართული თხილის ფასი 4 ლარია. აგვისტოში პროდუქტზე დაბალი ფასია. თხილი ექსპორტზე ავტოტრანსპორტით გაგვაქვს. 1 კილოს ტრანსპორტირება 20 ცენტი ღირს. მსოფლიო ბაზარზე ჩვენი მთავარი კონკურენტი თურქეთია,"- ამბობს ბეგი სიორიძე.

მოსახლეობისაგან თხილის შესყიდვის ფასი, ბოლო მონაცემებით, 4 ლარია. თითქმის ყველა რეგიონში ფუნქციონირებს თხილის ჩამბარებელი პუნქტები, საიდანაც პროდუქტი გადამამუშავებელ ქარხანაში ხვდება. ხდება თხილის გამოშრობა, დაკალიბრება და დატეხვა. შემდეგ კი პროდუქტი სახმელეთო გადაზიდვების მეშვეობით ექსპორტზე გადის.

როგორც ბეგი სიორიძე განმარტავს, მისი კომპანია თხილს, ძირითადად, ევროპის ბაზარზე ყიდის, სადაც მოთხოვნა გარჩეულ თხილის გულზეა. ექსპორტიორს თხილი აზიის ბაზარზეც გააქვს, ამ შემთხვევაში მოთხოვნადი გაუტეხავი თხილი და კაკალია.

ქართული გარჩეული თხილის ფასი ევროპის ბაზარზე 7 დოლარია. ერაყში კი ნაჭუჭიანი თხილი 2 დოლარი და 10 ცენტი ღირს. "ევროპის ბაზარზე მარტივად არ გავსულვართ. ეს რამდენიმეწლიანი შრომის ნაყოფია. გარკვეულწილად, ჩვენი წარმატება იმანაც განაპირობა, რომ ISO სერტიფიკატი ავიღეთ," - ამბობს ბეგი სიორიძე.

ევროპაშიც და აზიის ქვეყნებში მსოფლიო ბაზარზე ყველას კონკურენტი, ძირითადად, თურქეთია. ეს ქვეყანა მსოფლიო ბაზრის მოთხოვნის 75 პროცენტს აკმაყოფილებს. აქედან გამომდინარე, სრული უფლებით აკონტროლებს თხილის ფასსაც და თხილის ბაზარსაც. ქართული თხილის ფასი თურქულთან შედარებით 20 ცენტით მაღალია. "სამომავლო პერსპექტივა ქართული თხილისთვის მსოფლიო ბაზრის 10-პროცენტიანი ნიშის ათვისებაა. საქართველოში არსებობს პოტენციალი, რომ მომავალში მსოფლიო ბაზრის უფრო მეტი მოთხოვნა დავაკმაყოფილოთ," - ამბობს სიორიძე.

ბაზრის მეორე და მესამე სეგმენტის მოთამაშეების - ფერმერებისა და თხილის გადამამუშავებელი ქარხნების მფლობელების ძირითად პრობლემას საბანკო სესხის მაღალი საპროცენტო განაკვეთი წარმოადგენს. ამის მიუხედავად, ეს სექტორი ნელა, მაგრამ თანმიმდევრულად ვითარდება.

ლიბიაში რუსული რაკეტები გაიტაცეს

ლიბიის ქალაქ ბენღაზიში რუსული წარმოების სამხედრო აღჭურვილობა მოიპარეს, რომელიც ქვეყნის ყოფილი ლიდერის მუამარ კადაფის შემდეგ დარჩა. როგორც აღნიშნავენ, მართლდება ამერიკის ადმინისტრაციის შიში, რაც საბრძოლო არსენალის რადიკალი ისლამისტების ხელში მოხვედრას უკავშირდება. საზენიტო-სარაკეტო კომპლექსის ლიბიის ბაზიდან დაკარგვის შესახებ "ვაშინგტონ პოსტს" შეიარაღებული დაჯგუფება "რაფ-ალაჰ ას-სახატის" ხელმძღვანელმა ისმაილ სალაბმა განუცხადა. სალაბის თქმით, იარაღი გასულ უქმეებზე გაიტანეს, როდესაც ათასობით დემონსტრანტმა სამხედრო ბაზა შტურმით აიღო.

ლიბიაში აცხადებენ, რომ ახალი ხელისუფლება ეროვნული არმიის ფორმირებას ცდილობს და მეამბოხეებს მოუწოდებს, იარაღი საკუთარი ნებით ჩააბარონ.

ამერიკა კი ირწმუნება, რომ დღესდღეობით ლიბიაში სხვადასხვა შეაირაღებული დაჯგუფებები ასობით საზენიტო-სარაკეტო კომპლექსს ფლობენ.

კარიკატურები კარიკატურების წილ

ეგვიპტურმა გაზეთმა "ალ ვატანმა" თავისი 12-გვერდიანი დანართი დაუთმო დასავლეთის სახელმწიფოებში გავრცელებულ შეხედულებას მუსულმანებზე და ფრანგული "Charlie Hebdo"-ს პასუხად 13 კარიკატურა გამოაქვეყნა. სურათების ერთ-ერთი ავტორი აცხადებს, რომ დასავლეთი მუსულმანის მხოლოდ ერთ ტიპს ხედავს და აღიქვამს. მაგალითად, ერთ-ერთ სურათზე გვერდიგვერდ გამოსახულია ორი არაბი: ერთი - მოკლედ შეკრეჭილი წვერით, პიჯაკითა და პატარა ტრადიციული ქუდით, მეორე - რადიკალებისთვის დამახასიათებელი თავსაბურავით, დიდი წვერით, დაკრეჭილი კბილებითა და სისხლიანი ხანჯლით. ფანარი, რომლის ტარიც ამერიკული დროშის ფერებშია გამოსახული, მინათებულია ამ მეორეზე. არის კიდევ ერთი კარიკატურა მინაწერით: "სათვალე ვესტერნი ისლამური სამყაროსთვის". მასში ჩანს ნიუ იორკის მსოფლიო სავაჭრო ცენტრის ალმოდებული ტყუპი კოშკები.

დანართში გამოქვეყნებულია ცნობილი ეგვიპტელი საერო და სასულიერო მოაზროვნეების სტატიები ამ თემაზე. მათგან ერთ-ერთის ავტორია ეგვიპტის მთავარი მუფტი ალი გომაა.

გაზეთი "ალ-ვატანი" საერო მიმართულებისაა და ის ამჟამად ოპოზიციაში უდგას არჩეულ პრეზიდენტ მოჰამედ მურსის, რომელიც პანარაბული მოძრაობა "მუსულმანი ძმების" წარმომადგენელია. გაზეთის საიტზე დევს უამრავი გამოხმაურება, რომელშიც მათ მადლობას უხდიან ციკლიზებული რეაქციისთვის დასავლეთის მედიის უადგილო ხუმრობებზე. ეს დანართი შეფასებულია, როგორც "იდეებზე იდეებით" პასუხის გაცემის მცდელობა.

თურქეთის აღმოსავლეთში აფეთქებას 7 ადამიანი ემსხვერპლა

თურქეთის აღმოსავლეთ ნაწილში, ქალაქ თუნჯელიში ძლიერ აფეთქებას 7 ადამიანი ემსხვერპლა. თავდასხმა იმ მანქანაზე განხორციელდა, რომელშიც უსაფრთხოების სამსახურების თანამშრომლები იმყოფებოდნენ. ეს ქალაქი ერაყის საზღვართან ახლოს მდებარეობს და იქ მრავალი ქურთი ცხოვრობს. როგორც აღნიშნავენ, არსებობს ეჭვი, რომ აფეთქების უკან სწორედ აკრძალული "ქურთების მუშათა პარტია" დგას. ერთ-ერთი თურქული გაზეთის ცნობით, უსაფრთხოების ძალებმა, რომლებიც მომხდარის ადგილზე იმყოფებოდნენ, ქურთ ამბოხებულებს ცეცხლი გაუხნეს, რის შედეგადაც ერთ-ერთი მათგანი დაიღუპა.

უკრაინელი ჟურნალისტები ცილისწამების შესახებ კანონს აპროტესტებენ

უკრაინაში დაიწყო ონლაინ აქცია, რომელშიც მედიასაშუალებები, რიგითი ჟურნალისტები და უბრალო მოქალაქეებიც (სოციალური ქსელების მეშვეობით) ქვეყნის უმაღლესი რადას მიერ პირველი მოსმენით მიღებულ კანონპროექტს აპროტესტებენ, რომელიც ცილისწამებისთვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას ითვალისწინებს. საიტებზე გამოჩნდა წარწერები: "დაიცავი შენი უფლება, იცოდე სიმართლე. უარყავი კანონი ცილისწამების შესახებ." ინტერნეტგამოცემის "ტელეკრიტიკა" მთავარი რედაქტორის ნატალია ლიგაჩოვას სიტყვებით, აქცია "უკრაინსკაია პრავდამ", "კორესპონდენტმა" და "ლიგა.ნეტმა" დაიწყეს. მათ შემდეგ შეუერთდნენ: "ინვესტ-გაზეტა", "KyivPost"-ი, "დენი" (День), "LB.ua", "სეგოდნია", "TBi" "უკრაინსკიე ნოვოსტი" და სხვები. ზოგიერთმა მათგანმა იმ 244 დეპუტატის სიაც გამოაქვეყნა, რომლებმაც პირველი მოსმენის დროს კანონპროექტს ხმა მისცეს.

ირანმა საკუთარი უპილოტო საფრენი აპარატი "შაჰიდ-129" წარადგინა

თეირანმა საკუთარი წარმოების უპილოტო საფრენი აპარატი "შაჰიდ-129" წარმოადგინა, რომელიც სადაზვერვო და სამხედრო დანიშნულებისათვის არის შექმნილი. ისლამური რევოლუციის გუშაგთა კორპუსის განცხადებაში საუბარია, რომ უპილოტო აპარატს ჰაერში გაჩერება ერთი დღე-ღამის განმავლობაში შეეძლება. როგორც აღნიშნავენ, აპარატი სამიზნის განადგურებას 2000 კმ-ში შეძლებს.

ორმაგი ტერაქტი დამასკოში

ხათუნა გაბიევი

სირიის დედაქალაქში ორმაგი ტერაქტი მოხდა, რასაც მასშტაბური ხანძარი მოჰყვა. პირველი აფეთქების ხმა დამასკოში სირიის ტელევიზიის შენობასთან გაისმა, რასაც მალევე მოჰყვა ბომბის ამოქმედება ქალაქის ცენტრში სამხედრო უწყებასთან. მომხდარზე პასუხისმგებლობა რამდენიმე საათში საკუთარ თავზე ამბოხებულებმა აიღეს. მანამდე კი სახელმწიფო მედიასაშუალებები ავრცელებდნენ ცნობას, რომ აფეთქებათა სერიის უკან ტერორისტები იდგნენ. ტერორისტებს ასადის რეჟიმი, უკვე რამდენიმე თვეა, ამბოხებულებს უწოდებს. შემთხვევის ადგილი გადაკეტეს რეგულარული არმიის წარმომადგენლებმა, პარალელურად კი, მუშაობას სასწრაფო დახმარების ბრიგადებიც შეუდგნენ.

სირიის თავისუფალი არმიის წარმომადგენელთა განცხადებით, თავდასხმას ათობით პირი ემსხვერპლა, ხოლო რეგულარული არმია კი ამბობს, რომ აფეთქებებს მსხვერპლი არ მოყოლია.

პირველი აფეთქება ადგილობრივი დროით დილის 07:00 საათზე მოხდა ომეიადების მოედანზე, მეორე კი - აბუ რამანის კვარტალში. თვითმხილველთა თქმით, აფეთქება იმდენად მძლავრი იყო, რომ ახლომდებარე შენობები დაზიანდა, ჩაიმსხვრა შუშები. სირიის ინფორმაციის მინისტრის სიტყვებით, ორივე შემთხვევაში გზებზე დამონტაჟებული ნაღმები ამოქმედდა, მაგრამ არც ტელევიზიისა და არც სამხედრო უწყების შენობები დიდად არ დაზიანებულა. აფეთქებების ადგილიდან არც თუ მოშორებით კი ამბოხებულებსა და სამთავრობო ჯარებს შორის შეტაკებები კვლავ გრძელდებოდა.

ბოლო რამდენიმე თვეა, ინტენსიური თავდასხმები მიმდინარეობს როგორც დამასკოში სამთავრობო ობიექტებზე, ასევე ქვეყნის სიდიდით მეორე ქალაქ ალეპოში. იზრდება დაშავებულთა და დაღუპულთა რაოდენობაც. დამასკოს ორმაგ აფეთქებამდე კი რამდენიმე საათით ადრე სირიაში შექმნილ მდგომარეობაზე გაერო-ს გენერალურ ასამბლეაზეც იმსჯელეს. მიუხედავად იმისა, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის დაწყებისას სირიის საკითხი დღის წესრიგში შეტანილი არ იყო, თითქმის ყველა გამომსვლელი შეეხო დამასკოს კრიზისს. საფრანგეთის პრეზიდენტის ფრანსუა ოლანდის თქმით, ასადის რეჟიმს მომავალი არ აქვს, მკაცრი განცხადება გააკეთა ასევე ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმაც და საერთაშორისო საზოგადოებას ძალადობის დასრულებისკენ მოუწოდა. **"ძალადობა მიუღებელია. ის უნდა დასრულდეს, ისევე, როგორც ასადის რეჟიმი. სირიაში მშვიდობიანი მოქალაქეები, მათ შორის, ბავშვები იღუპებიან. არ შეიძლება, მომავალი დიქტატურას ეკუთვნოდეს,"** - განაცხადა ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა ბარაკ ობამამ.

გენერალურ ასამბლეაზე ანგარიში სირიაში გაერთიანებული ერების ორგანიზაციისა და არაბული ლიგის სპეცწარმომადგენელმაც წარადგინა, რასაც სირიის პარლამენტში უკმაყოფილება მოჰყვა. **"სირიის ხელისუფლება ბრაჰიმისთან ითანამშრომლებს, რადგან იგი მიუკერძოებელ პოზიციას უნდა იკავებდეს. სწორედ ამიტომ მას არ აქვს უფლება, განსაზღვროს უნდა შეიცვალოს თუ არა სირიაში რეჟიმი. მას თუ წარმატებული შუამავლობა სურს, მიმართოს საუდის არაბეთს, ყატარსა და თურქეთს, რომლებიც ამბოხებულებს ეხმარებიან იარაღითა და ფინანსებით და ჩამოთვლილი ქმედებების შეწყვეტა სთხოვოს"**, - განაცხადა ბრაჰიმის ანგარიშის საპასუხოდ სირიის პარლამენტის წევრმა შარიფ შიჰადმა.

საერთაშორისო საზოგადოება კი ერთ რამეში თანხმდება, კერძოდ, სირიაში ჰუმანიტარული მდგომარეობა დღითიდღე მძიმდება. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურმა მდივანმა სირიის კონფლიქტს რეგიონული კატასტროფა უწოდა, რომელსაც გლობალური შედეგები მოჰყვება.

"გაზპრომის" აქციები შარშან რომნისაც ჰქონია

ივა შილაკაძე

არჩევნების წინ აშშ-ს პრეზიდენტობის კანდიდატმა რესპუბლიკური პარტიიდან მიტ რომნიმ საკუთარ საიტზე გამოაქვეყნა თავისი და მეუღლის ენ რომნის შარშანდელი საგადასახადო დეკლარაცია. ამ დოკუმენტმა გამოიწვია მისი მომხრეების კმაყოფილება, რადგან დადასტურდა, რომ რესპუბლიკელების კანდიდატი პატიოსნად იხდის გადასახადებს და უზარმაზარ თანხას ხარჯავს ქველმოქმედებაზე. თუმცა მოწინააღმდეგეებმა დეკლარაციაში მაინც იპოვეს მონაცემები, რომლებიც რომნის პოლიტიკურ იმიჯს გარკვეულ ზიანს აყენებს. ირკვევა, რომ რომნის (უფრო სწორად, ფირმას, რომელსაც რომნის ინვესტიციების მართვა ევალება) შეუძენია რუსული და ჩინური კომპანიების აქციებიც, რომელ სახელმწიფოებსაც პრეზიდენტობის კანდიდატი აქტიურად აკრიტიკებს სააარჩევნო კამპანიის დროს.

მიტ რომნის მოწინააღმდეგეებმა ყურადღება გაამახვილეს იმაზე, რომ რესპუბლიკელების ლიდერი ინვესტიციას დებს არა მხოლოდ სამამულო, არამედ უცხოურ კომპანიებშიც, მათ შორის მოხვდა რუსული "გაზპრომი" და "იანდეკსი", გერმანული "ადიდასი" და "ფოლკსვაგენი", ჩინური ნავთობკორპორაცია "CNOOC"-ი და "Youku.com"-ი (ცნობილი "YouTube"-ის ჩინური ანალოგი) აგრეთვე ბრაზილიური ბანკი "Itau".

რომნის ოჯახის ფინანსებს მართავს კომპანია "ბრმა ნდობა", რომელიც თეორიულად მას არც ექვემდებარება. შარშან ამ კომპანიამ რომნის პორტფელისთვის იყიდა "გაზპრომის" ათასზე მეტი აქცია. პირველი აქციები შეიძინეს მარტში და შემდეგ ყველა ერთად გაყიდეს სექტემბერში, მას შემდეგ, რაც რომნის წინასაარჩევნო კამპანია აქტიურ ფაზაში გადავიდა. "იანდეკსის" აქციები 2011 წლის ივნისში შეისყიდეს და აგვისტოში გაყიდეს. საქმე ის არის, რომ ამ აქციების ყიდვა-გაყიდვით რომნიმ იზარალა. "გაზპრომის" ფასმა ბოლო ერთ წელიწადში 9 პროცენტით დაიკლო, ხოლო 2007 წელთან (ეკონომიკური კრიზისის დაწყების წინა პერიოდთან) შედარებით - 60 პროცენტით. თუმცა აქციების გაყიდვის მიზეზი უფრო პოლიტიკური იყო, ვიდრე ეკონომიკური.

რესპუბლიკელების საპრეზიდენტო კანდიდატი ბოლო პერიოდში ძალიან აქტიურად აკრიტიკებს რუსეთსა და ჩინეთს. რუსეთს მან უკვე ორჯერ უწოდა "გეოპოლიტიკური მოწინააღმდეგე N1". ჯერ კიდევ 2007 წელს, როდესაც რომნი პირველად ცდილობდა აშშ-ს პრეზიდენტის თანამდებობაზე ეყარა კენჭი, მან განაცხადა, რომ "ბრმა ნდობის" ხელმძღვანელი, ბოსტონელი ადვოკატი ბრედფორდ მოლტი "იღებს ზომებს იმისთვის, რომ მისი ინვესტიციები შეესაბამებოდეს მისსავე პოლიტიკურ პოზიციებს". როგორც ჩანს, ეს ყოველთვის არ გამოდის და ამაზე თვით რუსული პრესაც ცინიკურად ხუმრობს, რომ ფრაზა: "არაფერი პირადული, მხოლოდ ბიზნესი" კვლავ აქტუალურია.

რომნის კრიტიკოსები ყურადღებას ამახვილებენ იმაზე, რომ ჩინური "Youku.com"-ის აქციები, მართალია, სულ ერთი თვით, მაგრამ რომნის ჰქონდა იმ პერიოდში, როდესაც წინასაარჩევნო კამპანიის ფარგლებში აქტიურად აკრიტიკებდა ჩინეთს ვიდეომეკობრეობისთვის, ეს კომპანია კი ამ უკანონო საქმიანობის ბუდეა. "CNOOC"-ის აქციებს კი ფლობდა იმ პერიოდში, როდესაც ვაშინგტონში უკვე ძალიან აქტიურად გამოთქვამდნენ შეშფოთებას ჩინელი მენავთობეების მრავალმილიარდიანი გარიგებების გამო ირანელ კოლეგებთან. შეიძლება, წინასაარჩევნო კამპანიის დაწყების წინ რომნი ან მისი პოლიტიკური მრჩეველი სერიოზულად დაინტერესდა კომპანია "ბრმა ნდობის" მიერ რომნის პორტფელის მართვით და ყველა "პოლიტიკურად წამგებიანი" აქტივი (თუ პასივი) ერთბაშად მოიშორეს. შეიძლება ამ კუთხით საკუთარ მოვალეობებს თვითონ ბრედფორდ მოლტმა შეხედა და რომნი ამაში არც ჩარეულა.

თუმცა დღეს, რესპუბლიკელების კანდიდატის მიერ დეკლარაციის გამოქვეყნების შემდეგ, მის მიმართ კრიტიკა მაინც ისმის. "აგვიხსენით, რუსულ კორპორაციაში ინვესტიციის ჩადება როგორ ქმნის სამუშაო ადგილებს აშშ-ში?". მოკლედ რომ ვთქვათ, მას დემოკრატებმა პატრიოტიზმი დაუწუნეს.

მთლიანობაში კი, დეკლარაციამ აჩვენა, რომ რომნიმ და მისმა მეუღლემ შარშან დაახლოებით 14 მილიონი დოლარი გამოიმუშავეს (მთლიანად რომნის ქონება 200 მილიონ დოლარად არის შეფასებული), გადასახადების სახით გადაიხადეს 1,9 მილიონი და ქველმოქმედებაში დახარჯეს 4 მილიონი ანუ საკუთარი სუფთა მოგების დაახლოებით 30 პროცენტი.

საპროტესტო აქციები მადრიდსა და ათენში

პირველი გვერდიდან

პროტესტანტები მხოლოდ მას შემდეგ დაიშალნენ, რაც პარლამენტის წევრებმა შენობა დატოვეს.

პროტესტის მონაწილეებმა - მოძრაობა "აღშფოთების" (Indignados) წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ "ჩამორთმეული დემოკრატიის" წინააღმდეგ გამოდიან. სამშაბათს დემონსტრაციის მონაწილეებმა საკუთარ აქციას "დაიკავე კონგრესი" უწოდეს.

ხუთშაბათს ესპანეთის მთავრობამ განცხადება უნდა გააკეთოს ბიუჯეტის შემცირების ახალი სტრატეგიის შესახებ. ბოლო სამი წლის განმავლობაში ქვეყანა მეორე რეცესიას განიცდის. უმუშევობის დონემ ესპანეთში უკვე 25 პროცენტს მიაღწია.

პარლამენტის შენობის წინ ათასობით ადამიანი შეიკრიბა, თუმცა თავად შენობა გარშემოტყმული იყო რკინის ბარიერებით, პოლიციის ფურგონებითა და ასობით პოლიციელით. მარკ სმიტმა, რომელიც პარლამენტის შენობის მიმდებარე ტერიტორიაზე ცხოვრობს, დაინახა, პოლიცია დემონსტრანტებს ხელკეტებით თავს როგორ დაესხა და მათ გაყოფას ცდილობდა, უფრო ზუსტად, პოლიცია აქციის ლიდერების იზოლირებას ცდილობდა, რამაც საქმე შეტაკებამდე მიიყვანა, თუმცა ის ფართომასშტაბიან ძალადობაში არ გადაზრდილა.

აქციამდე ერთი დღით ადრე ერთ-ერთმა უმსხვილესმა ოპოზიციურმა ჯგუფმა "კოორდინადორა#25ს"-მა განაცხადა, რომ "აღშფოთებულები" არ აპირებენ, შტურმით აიღონ პარლამენტი, მათ მხოლოდ სურთ, პარლამენტის შენობის ირგვლივ მარში გამართონ. "დემოკრატია ჩამოგვართვეს. 25 სექტემბერს ჩვენ ვაპირებთ, გადავარჩინოთ ის," - ნათქვამია მათ მანიფესტში.

ესპანური კანონმდებლობის შესაბამისად, ადამიანი, რომელიც ხელმძღვანელობს დემონსტრაციას პარლამენტის კედლებთან და ხელს უშლის მის ნორმალურ მუშაობას, შესაძლოა, ერთი წლის ვადით დააკავონ.

ახალი კონსერვატიული ხელისუფლება, სახელმწიფო ვალის შემცირების მიზნით, ხელფასების შემცირებისა და გადასახადების ზრდის პოლიტიკას ახორციელებს. ესპანეთის პროვინციები მადრიდისგან ფინანსურ დახმარებას ითხოვენ, რამაც, შესაძლოა, საერთაშორისო დახმარების აუცილებლობა და ვადამდელი არჩევნების დანიშვნა გამოიწვიოს. ევროკავშირი შიშობს, რომ ესპანეთს 100 მილიარდი ევროს ფინანსური დახმარება დაჭირდება.

ხელისუფლების ხისტი ეკონომიის ზომებს აპროტესტებენ საბერძნეთშიც. უმსხვილესმა პროფკავშირებმა გუშინ ჩაატარეს პირველი საპროტესტო აქცია მას შემდეგ, რაც ივნისში ხელისუფლებაში ახალი კონსერვატიული პარტია მოვიდა.

დემონსტრაცია ათენში, რომელიც 24-საათიანი ეროვნული გაფიცვის ფარგლებში გაიმართა, უსაფრთხოების ძალებისა და მომიტინგეების შეტაკებაში გადაიზარდა.

უსაფრთხოების დამცველები იძულებულნი გახდნენ, ასობით მომიტინგის წინააღმდეგ ცრემლსადენი გაზი მას შემდეგ გამოეყენებინათ, რაც მათ პოლიციელებს ბოთლებისა და ქვების სროლა დაუწყეს.

24-საათიანი აქცია მთავრობის გეგმის წინააღმდეგ ტარდება, რომლის მიხედვითაც მთავრობა აპირებს, 11,5 მილიარდი ევრო (15 მილიარდი დოლარი) დაზოგოს - ეს კი წარმოადგენს პირობას იმისთვის, რომ ევროკავშირისა და საერთაშორისო სავალუტო ფონდისგან 31,5 მილიარდი ევროს ოდენობის სესხი მიიღოს. ამ კრედიტის გარეშე ქვეყანა, შესაძლოა, გაკოტრების წინაშე დადგეს.

ათენი

მადრიდი

საბერძნეთი კიდევ საჭიროებს საერთაშორისო ფინანსურ დახმარებას, თუმცა საზოგადოებაში ეკონომიკური პოლიტიკა უკმაყოფილებას უმუშევრობისა და მსგავსი პრობლემების გამო იწვევს, თუნდაც იმის გამოც, რომ საბერძნეთის მოსახლეობის მესამედი სიღარიბის ზღვარს მიღმა იმყოფება.

გარდა ამისა, კონსერვატიული მთავრობა, ანტონის სამარასის ხელმძღვანელობით, აპირებს, პენსიების რაოდენობა შეამციროს და საპენსიო ასაკი 67 წლამდე გაზარდოს. ამ დროისთვის მმართველმა პარტიამ მოიძია ბიუჯეტის შემცირების საშუალება 9,5 მილიარდით (საჭირო 12 მილიარდიდან).

საპროტესტო აქცია უდიდესი კერძო და საჯარო სექტორის პროფკავშირების "GSEE" და "ADEDY"-ის მიერაა ორგანიზებული, რომლებიც საბერძნეთის დასაქმებულთა ნახევარს წარმოადგენენ.

ოთხშაბათს სამსახურში არ გავიდნენ ექიმები, მასწავლებლები, იურისტები, რკინიგზელები, ავიადისპეტჩერები და ჟურნალისტებიც კი, რომელთაც განზრახული ჰქონდათ, გაფიცვების დაწყება გამოეცხადებინათ, ხოლო შემდეგ მომიტინგეებს შეერთებოდნენ.

გასულ კვირას ჩატარებული გამოკითხვების შედეგად აღმოჩნდა, რომ ბერძნების უმრავლესობა მიიჩნევს, რომ საბიუჯეტო ეკონომიისთვის მიღებული ზომებები უსამართლოა. ხალხი ვარაუდობს, რომ ეს დაუცველი მოსახლეობის მდგომარეობის გაუარესებას გამოიწვევს. გამოკითხულთა ერთ მესამედს არ სჯერა, რომ არსებული ზომები მათ ეკონომიკურ პრობლემებს გადაჭრის. მასობრივი დემონსტარციები ერთდროულად რამდენიმე ქალაქში მიმდინარეობს.

ბიზნესი

ევროპაში ყურძნისა და ვაშლის მოსავალი შემცირდა

თინა შავაძე

ევროპას თავს დაატყდა ახალი კრიზისი: ვენახების მოსავლიანობა რამდენიმე რეგიონში 80 პროცენტით შემცირდა, - იუწყება Reuters-ი.

ყურძენის მოცულობამ მკვეთრად დაიკლო ქვეყნებში, რომლებიც ევროპული ღვინის ძირითადი მწარმოებლები არიან, მათ შორის პორტუგალიაში, საფრანგეთში, ესპანეთში, იტალიაში და საბერძნეთში.

"ზოგიერთ ადგილებში მოსავალი, გასულ წელთან შედარებით, 40 პროცენტზე ნაკლებია," - განაცხადა პორტუგალიელმა მეღვინემ დევიდ ბევერსტოკმა.

კიდევ უფრო მძიმე მდგომარეობაა საფრანგეთის ერთ-ერთ რეგიონ ბურგუნდიაში, რომელიც ცნობილია თავისი ღვინოებით (შაბლი, ნიუსენ-ჟორჟი) და საქონლის სხვადასხვა ჯიშებით. სეტყვამ ვენახების თითქმის 80 პროცენტი გაანადგურა პომარში, სანტენსა და ვოლნეიში. ლურაში კი ახლახანს დაიწყეს მოსავალის აიღება, მაგრამ მეღვინეები ამბობენ, რომ ყურძნის მოსავალი ბევრად დაბალია, ვიდრე ადრე იყო.

მსგავსი მოლოდინები აქვთ ესპანელ მეღვინეებსაც.

ინტენსიური გვალვების გამო იტალიაში მკვეთრად დაეცა მოსავლიანობა ვაზის შემდეგი ჯიშებისა - პინოს Hyap, Moscato და სოვინიონი Blanc.

ზაფხული ასევე ძალიან მშრალი იყო საბერძნეთში - იქ ივლისი, 1897 წლის შედეგ, ყველაზე ცხელი აღმოჩნდა, - აცხადებენ ექსპერტები.

"შედეგად, ყურძნის კრეფა დაგეგმილზე ადრე დაიწყო და გასულ

წელთან შედარებით, მოსავალი, თითქმის 20 პროცენტით ნაკლებია," - ამბობს ბერძენი მეღვინე სტერიოს ბუტალისი.

ექსპერტები მომხმარებელს ამშვიდებენ და აცხადებენ, რომ ღვინის ფასები არ უნდა გაიზარდოს.

"თუ ყურძნის ფასი ევროპაში მოიმატებს, ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ღვინოზე ფასი მომხმარებელს უნდა გაეზარდოს. ღვინის მწარმოებელი ქარხნები, როგორც წესი, ფასებს სტაბილურ დონეზე ინარჩუნებენ," - ამბობს American Association of Wine Economists ჟურნალის რედაქტორი.

ბრიტანეთში ზაფხული პირიქით - ბოლო 15 წლის განმავლობაში ყველაზე ცივი იყო, რის შედეგადაც საგრძნობლად შემცირდა ვაშლის მოსავალი.

ამერიკაში უძრავი ქონების ფასი იზრდება

თინა შავაძე

Standard & Poor's/Case-Shiller index-ის ანგარიშის თანახმად, აშშ-ში უძრავი ქონების ბაზარზე ფასების მატება შეინიშნება. ამ ქვეყნის 20 უდიდეს ქალაქში, ივლისში, უძრავ ქონებაზე ფასები 0,44 პროცენტით გაიზარდა, - წერს The Washington Post.

თუმცა, ერთი შტატის ქონების ბაზარი მეორისგან ძალიან განსხვავდება. მაგალითად, ფენიქსში ფასები 16,6 პროცენტით გაიზრდა, ხოლო ატლანტაში 9,9 პროცენტით დაეცა.

ეს ნიშნავს, რომ მიუხედავად სექტორის აღდგენის მიზნით განხორციელებული სამთავრობო პროგრამებისა - მაგალითად, იპოთეკური სესხების რესტრუქტურიზაცია და საპროცენტო განაკვეთების დაწევა, უძრავი ქონების ბაზრის აღდგენა ნელი ტემპით მიმდინარეობს.

უძრავ ქონებაში ჩადებული ინვესტიციების წილი, ბოლო 60 წლის განმავლობაში, მშპ-სთან მიმართებით 5 პროცენტს არ აღწევდა, დღეს მხოლოდ 2, 2 პროცენტის ზღვარზეა გაჩერებული. მართალია, კლება დიდი არ არის, თუმცა ამ ბაზარს უცნაური გავლენა აქვს აშშ-ს ეკონომიკასა და ინვესტორების ფსიქოლოგიაზე.

კარგმა სტატისტიკამ შეიძლება, ბიძგი მისცემს ეკონომიკურ ზრდას. ახალი სახლების შესყიდვა გავლენას ახდენს სამომხმარებლო ქცევაზე - ახალმოსახლემ უნდა შეიძინოს ავეჯი, ასევე ხელს უწყობს ფინანსური ბაზრების ზრდას, რადგან უძრავი ქონება აქტიურად გამოიყენება, როგორც გირაო.

გავლენიანი გამოცემის დასკვნით, ბუნებრივია, ამ ეკონომიკურ ეფექტებს უკავშირდება აშშ-ს მთავრობის მიერ განხორციელებული უძრავი ქონების ბაზრის სტიმულირების პროგრამა.

მუსიკის საერთაშორისო ფესტივალი თელავში

2012

სექტემბერი

27/09/12 - ფესტივალის გახსნა - 19.00

მონაწილეობენ: საფესტივალო სიმფონიური ორკესტრი

დირიჟორი - ტიმურ ზანგიევი

სოლისტები: ეველინა ბერეზოვსკაია, კიმ ტე იანგი

პროგრამაშია: მოცარტი - უვერტიურა ოპერისათვის "ფიგაროს ქორწინება".

მენდელსონი - კონცერტი ფორტეპიანოსა და ორკესტრისათვის #1 სოლ მინორი.

ბრამსი - კონცერტი ფორტეპიანოსა და ორკესტრისათვის #1 რე მინორი

29/09/12 - 19.00

მონაწილეობენ: საფესტივალო სიმფონიური ორკესტრი დირიჟორი - ანატოლი ლევინი

სოლისტები: ლიზა ბათიაშვილი, ნატალია გუტმანი, სვიატოსლავ მოროზი

პროგრამაშია: ბეთჰოვენი - კონცერტი ვიოლინოსა და ორკესტრისათვის

ბრამსი - კონცერტი ვიოლინოს, ჩელოსა და ორკესტრისათვის

30/09/12 - 19.00

უკრავს ბორის ბერეზოვსკი

ოქტომბერი

18/10/12 - 19.00

კამერული მუსიკის კონცერტი

მონაწილეობენ: ელისო ვირსალაძე, ნატალია გუტმანი, ინგოლფ ტურბანი, ედუარდ ბრუნერი, ნოდარ ჟვანია, გია ქობულაშვილი, მიხეილ ქართველიშვილი, იანგ-ჯი ბაეკი, ჯააკო ლუომა, ზორა სლოკარი

პროგრამაშია: მოცარტი - დივერტისმენტი KV 229 სი ბემოლ მაჟორი

მოცარტი - კვინტეტი #K452 მი ბემოლ მაჟორი

ბეთჰოვენი - სეპტეტი თხზ.20 სიმებიანი და ჩასაბერი ინსტრუმენტებისათვის

20/10/12 - 19.00

კამერული მუსიკის საღამო

მონაწილეობენ: ელისო ვირსალაძე, ინგოლფ ტურბანი, ნატალია გუტმანი, ნოდარ ჟვანია, მარია კაგანი

პროგრამაშია: ბრამსი - საფორტეპიანო კვინტეტი ფა მინორი

21/10/12 - 19.00

ფესტივალის დასკვნითი კონცერტი

მონაწილეობენ: საფესტივალო სიმფონიური ორკესტრი დირიჟორი - ანატოლი ლევინი

სოლისტები: ელისო ვირსალაძე, ლუკას ნიკოლაი ბლაჰერი ედუარდ ბრუნერი, გია ქობულაშვილი, ჯააკო ლუომა, ზორა სლოკარი

პროგრამაშია: მოცარტი - სინფონია კონჩერტანტე შოპენი - კონცერტი ფორტეპიანოსა და ორკესტრისათვის #1 მი მინორი

შუმანი - კონცერტი ვიოლინოსა და ორკესტრისათვის.

ტაშ-ფანდურიდან უძრავ მოგზაურებამდე

ᲚᲐᲨᲐ ᲩᲮᲐᲠᲢᲘᲨᲕᲘᲚᲘ

სცენა სპექტაკლიდან "უძრავი მოგზაურები"

თბილისის საერთაშორისო თეატრალური ფესტივალის საერთაშორისო პროგრამა წელს გაცილებით მრავალფეროვანი და რადიკალურად განსხვავებული სტილისა და ესთეტიკის სპექტაკლებისგან შედგება, ვიდრე გასულ წელს. პოლონური თეატრ "ოპოლეს" მიერ გრიბოედოვის თეატრის სცენაზე წარმოდგენილმა "ღმერთების დაცემამ" მაია კლეჩევსკას თეატრალურმა ვერსიამ (ამავე სახელწოდების ფილმი ვისკონტიმ გადაიღო) მაყურებელი ემოციურად დაამძიმა.

თითქოს საფესტივალო პროგრამა წინასწარმეტყველთა საბჭომ შეადგინა, ისე დაემთხვა პოლონური სპექტაკლის თემატიკა თანამედროვე ქართულ ცხოვრებას, იმ მოვლენებს, რაც გასულ კვირას განვითარდა საქართველოში. ძალაუფლების უკიდურესი აღზევება ბადებს ძალმომრეობას, თესავს შიშს საზოგადოებაში და გზას უხსნის არა მხოლოდ ტოტალიტარიზმს, არამედ დესპოტიზმს.

"ღმერთების დაცემის" მეორე დღეს ფსიქოლოგიურად "დაცემული" მაყურებელი ბელორუსიის ნაციონალური იანკა კუპალას სახელობის თეატრის სპექტაკლმა "ქორწილი" გამოაცოცხლა. ანტონ ჩეხოვის ამავე სახელწოდების მოთხრობის მიხედვით რუსი რეჟისორის ვლადიმერ პანკოვის მიერ დადგმული სპექტაკლი ნამდვილი შვება იყო ფესტივალის ერთგული მაყურებლისთის. ბელორუსიულ ენაზე პიესას "Вяселле" ქვია, რაც გართობას, ჩვენებურად კი "ტაშ-ფანდურს" ნიშნავს. ეს ცნება ბელორუსიულ ენაში ქორწილის დღესასწაულს შეესატყვისება. ტრაგიკომედია მარჯანიშვილის თეატრის სცენაზე ქართულად გათამაშდა. ახლავე მოგახსენებთ რასაც ვგულისხმობ "ქართულად გათამაშებაში": რუსული და ბელორუსიული თეატრი სტილითა და ესთეტიკით, ხერხების ერთობლიობით გვანან ერთმანეთს. ჩრდილოული ტემპრამენტისთვის დამახასიათებელი მეტი ფსიქოლოგიზმი და ყოფითობა. პანკოვი კი თავის სპექტაკლებში, ისე როგორც ჩეხოვის "ქორწილში" რადიკალურად ამბობს უარს ტრადიციულ, თითქმის ნაციონალურ თეატრალურ სტილზე და გამომსახველობით ხერხებზე. მისი შემოქმედებითი შესაძლებლობები მიმართულია ფორმის და იდეის განსხვავებულ სინთეზზე, რასაც სპექტაკლის ბგერით-ხმოვანი სტრუქტურა ემატება. პანკოვის სპექტაკლებში მსახიობები მიკროფონებით საუბრობენ, მღერიან და მათი დიალოგები რეჩიტატივს მოგაგონებთ, რაც ერთის მხრივ აუცხოებს მაყურებლს პერსონაჟებთან, ხოლო მეორეს მხრივ უფრო მისტიურს ხდის სცენაზე გათამაშებულ ტრაგიკომიკურ ისტორიას.

მოულოდნელი იყო რუსი რეჟისორი პანკოვისაგან ამ დოზით ირონიის და თვითირონიის შეგრძნება, გავითვალისწინოთ ისიც, რომ რუსმა რეჟისორმა სპექტაკლი ბელორუსიაში, სადაც უკვე მეთვრამეტე წელია არც ისე დემოკრატი პრეზიდენტი ლუკაშენკოა და ისიც ნაციონალურ, ქვეყნის მთავარ თეატრალურ მოედანზე. პანკოვის ირონია ვლინდება არა მხოლოდ პერსონაჟების, არამედ დრამატურგის მიმართაც. ამის გამო პანკოვისეული გადაწყვეტა აახლოვებს მას კლდიაშვილის თეატრალურ სამყაროსთან. სევდანარევი იუმორი, მოქმედებების სიჭარბე და შემოთავაზებული მუსიკალური ატმოსფეროს (არიებისა და არიეტების) ერთობლიობა კიდევ უფრო აცილებს რეჟისორს ტრადიციულ რუსულ თეატრთან. კიდევ ერთი დეტალი, რაც გამოარჩევს პანკოვს სხვა მისი თაობის რეჟისორებისაგან: მის სპექტაკლებში ყოველთვის ცოცხალი მუსიკა ჟღერს და მას უყვარს მასიური სცენები, სცენაზე ორმოცამდე მსახიობი დგას და არც ერთი წამით, არც ერთი მსახიობი სცენაზე "უსაქმურად" არ დგას. თეატრალური ტერმინით, რომ ვთქვათ ისინი უკლებლივ "მუშაობენ"...

ფესტივალის კლუბში, იტალიერ ეზოში, რომელიც მარჯანიშვილის თეატრის წინ მდებარეობს, საერთაშორისო პროგრამის ფარგლებში წარმოდგენილი იყო ვიდეოპერფორმანსი "პანთესელეა-პათოლოგია" გერმანიიდან, რომლის რეჟისორი, სცენოგრაფი და მთავარი როლის შემსრულებელი ევი შუბერტია. მსგავს ვიდეო პერფორმანსთან შეხება პირველად როდი მქონია სხვადასხვა ფესტივალებზე, მაგრამ ჩემთვის მაინც გაუგებარ და ამოუხსნელ ამოცანად რჩება, რატომ განეკუთვნება ეს ფორმატი თეატრალურ ხელოვნებას. ის უფრო სატელევიზო სპექტაკლის სპეციფიკაში თავსდება, ვიდრე ცოცხალ თეატრალურ ურთიერთობაში. დამსწრეების სიუხვის მიუხედავად "წარმოდგენამ" უღიმღამოდ ჩაიარა.

დიდი შთაბეჭდილება მოახდინა "თეატრმა იშ" ისრაელიდან, რომლის რეჟისორიც მარია ნემიროვსკი გახლდათ და მასში სამი მსახიობი ფიოდორ მაკაროვი, ნოამ რუბინშტაინი და იოლანა ზიმერმანი მონაწილეობდნენ. სპექტაკლი ჟანრობრივად მოძრაობის თეატრს განეკუთვნება, თუმცა ზღვარი ვერბალურსა და არავერბალურ თეატრს შორის მაინც წაშლილია. მართალია რეჟისორი უარს ამბობს ტექსტის, დრამატურგიის - კლასიკური გაგებით გამოყენებაზე, მაგრამ საერთაშორისო ფრაზები და სიტყვები სპექტაკლში მაინც ვერბალურ დატვირთვას იძენს. სპექტაკლი ეტიუდების პრინციპზეა აგებული, თუმცა სიუჟეტის მთავარი ხაზი არ ირღვევა, რაც საშუალებას აძლევს მაყურებელს პლასტიკის ენით გადმოცემული ისტორიების, სიტუაციების მარტივად გაგებაში. მაია ნემოროვსკის სპეტაკლი "ქაოსური ოდისეა" დაფუძნებულია კაცობრიობის მანძილზე თეატრალურ სფეროში დაგროვილ საუკეთესო მიღწევების, სტილების, ჟანრების ერთობლიობაზე. სპექტაკლი არც მხოლოდ კლოუნადაა და არც ტრაგიკომიკური ფარსი.

"სუხიშვილების ბალეტის" ჩინური ვერსია შემოგვთავაზა ლუი ჟენმა პეკინიდან. "პოლი მენეჯმენტ ჯგუფში" ოცდაათამდე მსახიობია გაერთიანებული, მათ შორის ყველაზე ახალგაზრდა თორმეტი წლისაა, რომელიც ნამდვილ საოცრებებს ახდენს სცენაზე. დასის ფიზიკური მომზადების დონე მაყურებელზე დიდ შთაბეჭდილებას ახდენს. წარმოდგენაში ცეკვის ენით მოთხრობილია და ახსნილია კუნფუს ცხრა გრაგნილის ფილოსოფია, რომელიც გაერთიანებულია მედიტაციურ წარმოდგენაში "კუნფუს გამოცხადება - 9 გრაგნილი". შესაბამისად სპექტაკლი ცხრა ნაწილისაგან შედგება, რომელიც ევოლუციურად ვითარდება და კულმინაციას ფინალში აღწევს. წარმოდგენის იდეა მაყურებლის კათარზისია.

არანაკლები შთაბეჭდილება მოახდინა ქართველი მაყურებლისთის უკვე ცნობილმა ფილიპ ჟანტის თეატრმა საფრანგეთიდან. ორი წლის ფილიპ ჟანტის კომპანიამ თბილისის საერთაშორისო თეატრალრუ ფესტივალზე აჩვენა ქართველ მაყურებელს თავისი პროდუქციის ერთი მნიშვნელოვანი პროდუქტი, წელს ისინი სპექტაკლით "უძრავი მოგზაურები" გვეწვივნენ. ჟანტის დასი ერთ-ერთი გამორჩეული თეატრალური ჯგუფია ევროპაში, რომელიც თოჯინური თეატრის დრამატულ თეატრთან (და ცოცხალ მსახიობთან) სინთეზსს გვიჩვენებს. ბუნებრივია თეატრალური ხელოვნების ეს ფორმა ახალი არ არის, მაგრამ მათ წარმოდგენაში ადამიანი-მსახიობის და თოჯინა-მსახიობის ურთიერთკავშირი უმაღლეს ესთეტიკურ და ტექნიკურ დონეზეა მიღწეული. ბუნებრივია, თითოეული მიზანსცენა დახვეწილია და ტექნიკურად გამართული, მაგრამ სპექტაკლს, რომელიც 90 წუთის განმავლობაში მიმდინარეობს, აკლია ერთიანი სიუჟეტური ხაზი. ცალკეული ეტიუდები თეატრალური ხელოვნების შედევრებს წარმოადგენს, მაგრამ მათი ერთობლიობა არღვევს სპექტაკლის მთლიანობას და ღლის მაყურებელს. ფილიპ ჟანტს აქვს უსაზღვრო ფანტაზია და გამომგონებლობსი უნარი, მისი მსახიობები კი მაღალი საშემსრულებლო ოსტატობით, გარდასახვის უნარითა და კარგი ფიზიკური მომზადებით გამოირჩევიან. სპექტაკლის პერსონაჟები მოგზაურები არიან, რომლებიც უნებლიეთ, თავიანთი სურვილის მიუხედავად მოგზაურობენ კონტინენტიდან კონტინენტზე. ამ მოგზაურობის ინიციატორი კი ბუნებრივი კლიმატი და ბუნებაა, ოკეანეში შემთხვევით ჩავარდნილები მოგზაურობის შემდეგ უდაბნოში აღმოჩნდებიან, გზათ კი მათ უამრავი თავგადასავლი ხვდებათ, რომელიც შთამბეჭდავი თეატრალური საშუალებებით არის გადმოცემული სცენიდან პარტერში.

ფესტივალის მაყურებელს წინ ფინელი რეჟისორის "სევდიანი სიმღერები ევროპის გულიდან", მექსიკელებეის "ჯამბაზების შოუ" და აზდრამის მოლდოველი რეჟისორის პეტრუ ვიტკარაუს სევდიანი კომედია "შექსპირი" ელის. ერთი რჩევა მაყურებელს: ნუ ვიქნებით სნობები და ნუ გადავწყვეთ გვერდი ავუაროთ მდიდარი თეატრალური ტრადიციებით ნაკლებად ცნობილი ქვეყნების დასების წარმოდგენებს, რადგან დადგა დრო "თეატრი ევროპის გარეთაც ავიდეს მაღალ საფეხურზე" (პიტერ ბრუკი). ბრუკისეული ამ სიტყვების ჭეშმარიტება ბელორუსიის და ისრაელის თეატრალურმა დასებმა უკვე დაამტკიცეს.

სცენა სპექტაკლიდან "ქორწილი"

"გაიღიმეთ" "ოსკარს" უღიმის

პირველი გვერდიდან

ვიდრე მოჰამად ჰოსეინი განცხადებებს აკეთებს, სეიდ რეზა მირ ქარიმის "შაქრის ნატეხი" სულ უფრო უახლოვდება ნიშნულს, საიდანაც ნელ-ნელა სამუდამო დავიწყებას უნდა მიეცეს - სადაც ის "ოსკარისთვის" დაბლოკეს, იქ სხვა საერთაშორისო კინოფესტივალებისკენ მიმავალ კარსაც ამოუკეტავენ (გამონაკლისი ალბათ მუსლიმური ქვეყნების ფესტივალები იქნება). მსგავსი ტიპის საქციელი კი ირანის მთავრობისგან დიდი ხანია არავის უკვირს. ამისთვის, სულ მცირე, ირანელი კინემატოგრაფისტების მიმართ განხორციელებული დევნისა და დაპატიმრების არაერთი ფაქტის გახსენებაც კმარა.

2011 წელს გადაღებული "შაქრის ნატეხი", როგორც ირანული ფილმების უმეტესობა, დრამა გახლავთ - კონკრეტული ადამიანების ცხოვრების გარკვეულ პერიოდში მომხდარი ისტორიის კვალდაკვალ გაშლილი დრამა. ფილმი ძალიან პოეტურია და ირანის პატარა სოფლის ჩანახატების კრებულს წააგავს. პერსონაჟები ერთი დიდი ოჯახის წევრები არიან, რომლებიც ერთმანეთს მხოლოდ აუცილებლობის შემთხვევაში ეკონტაქტებიან, ყოფით საკითხებზე საუბრობენ, საკუთარ განცდებსა და ფიქრებს კი მხოლოდ მაყურებელს უზიარებენ. ფილმის მთავარი ხაზი ქორწილის სამზადისზე გადის. ოჯახის ყველა წევრი ერთ ჭერქვეშ იკრიბება, ასეთ დროს კი, როგორც წესი, ყველა მივიწყებული თუ დაფარული წყენა და მოგონება იწყებს ამოტივტივებას. როგორც სეიდ რეზა მირ ქარიმი ამბობს, "შაქრის ნატეხის" შექმნის იდეა მაშინ გაუჩნდა, როდესაც ირანული ხალიჩების ოსტატების შესახებ დოკუმენტურ ფილმს იღებდა. მისი თქმით, ირანული ხალიჩის ყველა

კადრი სეიდ რეზა მირ ქარიმის ფილმიდან "შაქრის ნატეხი"

ფერისა და ცალკეული დეტალისგან მიღებული ინსპირაცია "შაქრის ნატეხში" სრულად გამოიყენა, რაც ფილმს არაჩვეულებრივ სანახაობრიობასა და განწყობას უქმნის.

როგორც კინომოყვარულებს ახსოვთ, შარშანდელ "ოსკარზე" სწორედ ირანულმა კინომ გაიმარჯვა. ეს გახლდათ ასღარ ფარჰადის "ნადერი და სიმინი. გაყრა", რომელმაც რამდენიმე თვით ადრე ბერლინის კინოფესტივალის რამდენიმე "ვერცხლის დათვიც" მიიღო საუკეთესო სამსახიობო ანსამბლისთვის. "გაყრა" მეორე ირანული ფილმია, რომელიც "ოსკარის" უცხოენოვანი ფილმის ნომინაციაში მოხვდა. პირველი ნომინაცია ირანულმა კინომ 1998 წელს მიიღო. ეს გახლდათ რეჟისორ მაჯიდ მაჯიდის "სამოთხის შვილები", რომელიც იტალიელი რობერტო ბენინის ფილმთან "სიცოცხლე მშვენიერია" დამარცხდა.

კვლავ შარშანდელ ტრიუმფატორ "გაყრას" დავუბრუნდეთ, რომელთან დაკავშირებითაც ზემოთ აღწერილი ამბის მსგავსი მოვლენები განვითარდა: ეს "ოსკარით" დაჯილდოებიდან ორიოდე კვირაში მოხდა, როდესაც სამშობლოში ტრიუმფით დაბრუნებული რეჟისორის საპატივცემულოდ თეირანში დაგეგმილი საზეიმო მიღება, რისი ინიციატორებიც ადგილობრივი სახელოვნებო წრის წარმომადგენლები იყვნენ, ირანის ხელისუფლებამ მოულოდნელად აკრძალა. მთავრობის საქციელი მაშინ ბევრისთვის გაუგებარი აღმოჩნდა, რადგან როდესაც "გაყრამ" "ოსკარი" მიიღო, ეს მოვლენა ირანის სახელმწიფო ტელევიზიამ შეაფასა როგორც "სიონისტურ რეჟიმზე ირანის ისლამური რესპუბლიკის გამარჯვება" (შეგახსენებთ, რომ "გაყრის" ერთ-ერთი კონკურენტი ებრაული "შენიშვნები" იყო), მეტიც, ფილმი ირანის კინოთეატრების ეკრანებზეც გამოვიდა და არაერთი ადგილობრივი მნიშვნელობის კინოჯილდოც მიიღო. შემდგომში გაირკვა, რომ ეს ყველაფერი მხოლოდ თვალის ახვევის პოლიტიკა იყო - ხალხს მისცეს საშუალება თავად ენახათ ფილმი, რომელიც ისლამური საზოგადოების ცხოვრების წესს ეწინააღმდეგება, რათა შემდგომში ხელისუფლებას ის უარყოფით მაგალითად გამოეყენებინა.

ამასობაში კი "ოსკარის" წამზომი ჩართულია - 1 ოქტომბერი ბოლო დღეა, როდესაც ქვეყნებს უცხოენოვანი ფილმის ნომინაციაში მოსახვედრად განაცხადების წარდგენა შეუძლიათ. როგორც რამდენიმე დღის წინ ვივარაუდეთ, წელს ჩვენმა ქვეყანამ რუსუდან ჭყონიას სადებიუტო "გაიღიმეთ" წარადგინა. ეს ფილმი უკვე ნახეს ვენეციის კინოფესტივალის მიმდინარეობისას, სადაც საკმაოდ კარგი შეფასებებიც მიიღო. ფილმის ჩვენება უკვე დაიწყო ბათუმის "აპოლოში", თბილისის კინოთეატრებში კი, სავარაუდოდ, რამდენიმე კვირაში გადმოინაცვლებს. ამ დროისთვის უკვე ცნობილია კიდევ რამდენიმე ფილმი, რომლებსაც საუკეთესო ხუთეულში მოხვედრის შანსი აქვთ: მიხაელ ჰანეკეს "სიყვარული" (ავსტრია), კიმ კი დუკის "პიეტა" (კორეა), კრისტიან მუნჟუს "ბორცვებს მიღმა" (რუმინეთი), კრისტიან პეტცოლდის "ბარბარა" (გერმანია), ვალდემარ კშისტეკის "80 მილიონი" (პოლონეთი), მიხაილ ილიენკოს "ის, ვინც ცეცხლიდან მოვიდა" (უკრაინა), კარენ შახნაზაროვის "თეთრი ვეფხვი" (რუსეთი).

ძალიან მნიშვნელოვანი შეკითხვები

სიცოცხლეზე, სამყაროსა და საერთოდ ყველაფერზე

ბელა ჩეკურიშვილი

ადამიანის განვითარება მაშინ დაიწყო, როდესაც მან შეკითხვა დასვა. ამას ერთნაირად ადასტურებს ბიბლიაც და საზოგადოების განვითარების შემსწავლელი მეცნიერებებიც. ხოლო იმისათვის, რომ მოზარდების განათლების პროცესი მაშინ იქნება ეფექტური, თუკი მათ კითხვა-პასუხის რეჟიმში წარვმართავთ - ამას უკვე პედაგოგიკის ფუძემდებლები გვასწავლიან. სწორედ ამ მიზნით მართავდა დიალოგებს თავის შეგირდებთან სოკრატე ანტიკურ საბერძნეთში. დოქტორი სტივენ ლო კი, 21-ე საუკუნის პატარებს ახალი ტიპის წიგნს სთავაზობს, სადაც თავმოყრილია შეკითხვები, რაც კი თანამედროვე პატარებს შეიძლება მოუვიდეთ თავში, იმ ინფორმაციული გარემოს ფონზე, სადაც მათ ცხოვრება უწევთ. და აქვეა პასუხებიც, თუმცა კი, წიგნის განსაკუთრებულობა და თავად ავტორის ორიგინალურობაც იმაშია, რომ უამრავ შეკითხვას ღიად ტოვებს - ზოგ რამეზე ადამიანს პასუხი ჯერ კიდევ არ გააჩნია, ზოგზეც, სჯობს, პატარამ თვითონ იფიქროს, პასუხების ძიება ხომ ის პროცესია, რაც ჩვენს ცხოვრებას ასეთ ხიბლს ანიჭებს.

"ლოგოს პრესის" ახალი გამოცემა - წიგნი "ძალიან მნიშნელოვანი შეკითხვები სიცოცხლეზე, სამყაროსა და საერთოდ ყველაფერზე" ავტორმა ოთხ ნაწილად დაყო და შეკითხვები და მისი შესაბამისი პასუხები გარკვეული ნიშნით დააჯგუფა. სამყარო ერთი დიდი გამოცანაა, გვეუბნება პირველივე თავი და მასში პატარებს საფიქრელად ეძლებად ისეთი საკითხები, რომელიც სამყაროს წარმოშობასა და მის განვითარებას ეხება. აბა დაფიქრდით, რა არის არაფერი? ანდა, რა ხდებოდა დიდ აფეთქებამდე? რამდენად სავარაუდოა, რომ სამყარო სრულიად შემთხვევით იყოს ასე ზედგამოჭრილი ჩვენთვის? და ავტორი იხსენებს მწერალ დუგლას ადამსის არაკს პატარა გუბეზე, რომელიც ფიქრობს, რომ ის ორმო, სადაც ერთ დილას აღმოჩნდა, ზუსტად მისთვის შეიქმნა. ასე ხომ არ გვემართება ადამიანებსაც?

კარგად დაწერილ საბავშვო წიგნებს ერთი საერთო თვისება აქვთ - მათ დიდი ინტერესით კითხულობენ დიდებიც. ის თავსატეხი კი, რომ სამყაროში ყველაფერი ფიზიკურია, მათ შორის - ცისარტყელაც, თუმცა კი, ცისარტყელას ბადით ვერ დავიჭერთ, დიდებსაც ისევე დაგვაბნევს, როგორც იმ მოზარდებს, ვისთვისაც წიგნია განკუთვნილი.

წიგნის ავტორი არ ერიდება არც ფილოსოფილოსიფიურ შეკითხვებს, არც სამეცნიეროს და არც ზენობაზე ლაპარაკს გაურბის:. შეგვიძლია გონების ძალით კოვზი გავღუნოთ? რისგან შედგება ნივთიერება? რა არის ცხოვრების საზრისი? ანდა, ბავშვის ხელოვნურად შექმნა არასწორია? რატომაა ქურდობა ცუდი? და გამაბედნიერებს თუ არა ფული? ნებისმიერ ასაკში, ყველაზე რთული ზნეობისა და ნამდვილი ფასეულობების განსაზღვრაა. წიგნი აგებულია იმ პრინციპზე, რომ ადამიანის მოტყუება არ შეიძლება, მათ შორის არც იმათი, ვისაც ჯერჯერობით ტყუილ-მართალის გარჩევა არ შეუძლია, რის გამოც ხშირად, მათ მიერ დასმულ შეკითხვებს კითხვებს იგავურად ვფუთავთ. მეცნიერებას ბევრ შეკითხვაზე არ აქვს პასუხი, ბევრზეც - მშობელს, და ნუ შეგრცხვებათ, თუკი თქვენი შვილების წინაშე ამის აღიარება მოგიწევთ. ეს გაცილებით სასარგებლოა, ვიდრე შეფუთული ტყუილი.

"მეცნიერები ბევრ რამეს დაკვირვებითა და ცდების ჩატარებით შეისწავლიან, ისინი შესაძლებელს ხდიან იმასაც, რაც მანამდე შეუძლებელი იყო, მაგალითად, მათი წყალობით ახლო უფრო დიდი ბომბების დამზადება შეგვიძლია. მაგრამ მეცნიერება ვერ გვეტყვის, უნდა გავაკეთოთ ეს ყველაფერი თუ არა. როცა საქმე კარგსა და ცუდს ეხება, მეცნიერება უმეტესად დუმს, თუ პასუხი გვჭირდება, თავად უნდა მივხვდეთ. სწორედ ამას ცდილობენ ფილოსოფოსები", - ამბობს დოქტორი ლო წიგნის შესავალ წერილში და ჩვენს შვილებს კიდევ ერთხელ იწვევს, დაფიქრდნენ (ოღონდ ნიშნების დაწერისა და დასჯის შიშის გარეშე), რა არის ცოდნა და რატომაა ასე მნიშვნელოვანი რაღაც-რაღაცეები იცოდნენ. და იქვე ამხნევებს, რომ ამ წიგნის კითხვა შეუძლიათ ნებისმიერი გვერდიდან დაიწყონ, ოღონდ ახსოვდეთ, ნებისმიერი საკითხის გადაწყვეტისას იფიქრონ, მაშინაც კი, თუნდაც ეგონოთ, რომ პასუხი იციან. და ახსოვდეთ ისიც, რომ საბოლოო გადაწყვეტილების მიღება მათზეა, და რომ შეცდომების დაშვებაც არ არის დანაშაული, თუ ამას მათი მხრიდან შემდეგ დაფიქრება და განსჯა მოჰყვება.

კითხვა-პასუხის გარდა, ბავშვები წიგნში სახალისო ნახატებს, თავსატეხებსა და უცნაურ ციტატებსაც ნახავენ.

ცუდი ბიჭის დიდი ვაშლი

რაშიდ უოლასი "ნიქსის" ვარიანტზე ფიქრობს

შიდი "სელტიქსში" ერთ-ერთი საინტერესო პერსონა იყო

ზურაბ თალაკვაძე

ნიუ იორკში მაგარი ბანდა იკრიბება. ნიჭიერი და ეგოისტი კარმელო ენტონი, ერთფეროვანი და მაინც სექსუალური ამარე სტაუდმაიერი, მეჯიქს ჯონსონის კურსელი ჯეისონ კიდი, კრიმინალი და შეთავსებით კალათბურთელი ჯეი არ სმიტი, "მედისონ სკვერ გარდენის" ფრანკენშტეინი მარკუს კემბი. კიდევ რამდენიმე კარგი ბიჭი (აიმან შამპერტი, რეიმონდ ფელტონი, სტივ ნოვაკი, რონი ბრიუერი, არგენტინელი პროფესორი პაბლო პრიჯიონი). "მედისონ სკვერ გარდენის" გასახდელში შევა კურტ ტომასიც. ბიძია კურტი 39 წლისაა. "ინდიანას" მთავარი მწვრთნელი ფრენკ ვოგელიც 39 წლის არის. "ნიქსი" ლიგის ცირკია და ცირკში ხშირად ბოსი, დევიდ სტერნიც დადის.

გუნდს შარშან ალაგებდნენ. მაიკ დ`ანტონიმ ეს პროცესი ბოლომდე ვერ მიიყვანა და სტივ ნეშის წამოყვანის თემაც დაიხურა. ნეში კიდმა შეცვალა. ჯეისონში რამდენიმე ნორმალური რეგულარული დარჩა და კიდმა "ნიქსი" გამოცდილების შადრევანში უნდა გაატაროს. კიდთან ერთად გუნდები ბევრს სწავლობენ და ჯეისონი ლიგის ინდიანა ჯონსია. კიდმა "ნიუ ჯერსი" საკოლეჯო დონიდან სუპერფინალამდე (ორჯერ) მიიტანა. "დალასში" ჯეისონი ჯეკპოტს ხსნის. კიდი უნიკალური ბაბუაა. კიდის 17 071 ქულა, 11 842 პასი და 8 402 მოხსნა კლასიკაა. კალათბურთის ქაშმირი. უპეიჯოდ და ბონემის გარეშე, მაგრამ მაინც განსაკუთრებული, ძველი, კლასიკური ეფექტით.

"ნიქსმა" ძველი ბიჭებიდან კიდევ ერთს მიაგნო. ეს ბიძა თავისთვის, ეზოში ვარჯიშობს მინუს პიატში და მეზობლებს გახდაზე ეთამაშება. ეს ბიძა ღამის კლუბებში დადის და მოცეკვავე გოგონებთან ერთად ფიზიკური კონდიციების გაუმჯობესებაზე ჩალიჩობს. ეს ბიძა ტიმ დანკანთან ერთად მოდიოდა სტერნის ლიგაში და ტიმის ბევრი ნაკაწრი, ცუდი მოგონება დაუტოვა. დანკანს ეს ახსოვს და დანკანი ამ ბიძას პატივს სცემს. ეს ბიძა შერონ სტოუნთან ერთად ლაბრადორებს ასეირნებდა. ეს ბიძა რაშიდ უოლასია.

"ნიქსს" უნდა უოლასი.

უოლასს უნდა კალათბურთის თამაში. ჯერ ვერ იცის, "ნიქსთან" თუ მეზობლებთან ერთად. ნიუ იორკში მინუს პიატს არ ეთამაშებიან. ან, დიდი-დიდი, ვარჯიშებზე. უოლასმა წინა შაბათს ივარჯიშა გუნდთან ერთად, რამდენიმე უოლასური სამიანი ჩააგდო და გაერთო. "ნიქსის" მწვრთნელებმა რაშიდს, ყოჩაღ, კაი ბიჭი ხარ, ამ სეზონში გამოგიყენებთ და არ იცელქოო, - უთხრეს. უოლასს მოეწონა ჟესტი. შიდი ფიქრობს.

უოლასიც 39 წლის მგელია. ნიუ იორკში 39 წლის ბიძების გამოფენაა. პოდიუმზე კიდი და ტომასი გავლენ. თუ "ნიქსი" უოლასს დაკერავს, იქ მისტერ უოლასიც იქნება. ბრავო!

უოლასს ერთი პრობლემა აქვს. შიდის აგენტმა, ბილი სტრიკლენდმა, ახლობლებთან წაიჭორავა, ჩემი ბიჭი ფორმაშია, მაგრამ ვარჯიში ეზარება, ლიგიდან წასვლის შემდეგ (2009/10) უკვე ექვს გუნდს უთხრა უარი და არა მგონია, დაბრუნდესო. უოლასი გაიზარდა. უოლასი აღარ ცელქობს და უოლასი მოტივაციას თან, გამორღვეულ ზურგჩანთაში არ ატარებს. შიდიმ მანამდე "სან ანტონიოს" შეთავაზება მიიღო. და გადააგდო. მანამდე იყო "ბოსტონის", "ლეიკერსის", "ფინიქსის", "ორლანდოს", "დეტროიტის" ვარიანტები. "სან ანტონიოს" გარდა, დანარჩენი გუნდებისგან ერთწლიანი, ვეტერანის მინიმალური კონტრაქტის შეთავაზება იყო. რაშიდ უოლასი ჯერ ოჯახთან ერთად ისვენებს.

სტრიკლენდი: "ნიქსისგან" ოფიციალური შეთავაზება არ ყოფილა. რაშიდმა მომწერა, რომ კლუბმა მას ერთი წლით მეგობრობა შესთავაზა, მაგრამ ეს იყო ვარჯიშზე და იმ ვარჯიშს არ ესწრებოდა მაიკი (ვუდსონი, "ნიქსის" მთავარი მწვრთნელი). რაშიდს ვერაფერს ვერ ვურჩევ. დიდი ბიჭია და თუ დაბრუნება უნდა, დაბრუნდება."

უოლასის ბოლო სეზონი "ბოსტონში" იყო. კევინ გარნეტთან ერთად. პოლ პირსთან ერთად. რაჟონ რონდოსთან ერთად. რეი ალენთან ერთად. იმ გუნდიდან "სელტიქსში" სამი ტუზი დარჩა. ალენი "მაიამიში", ლებრონთან მიდის. უოლასმა და "ბოსტონმა" სუპერფინალამდე გაქაჩეს და იქ ოქროსფერი, ბოროტი და ბრაიანტის "ლეიკერსი" იდგა. "სელტიქსი" სერიას 3:2 იგებდა და ვერ გაძლო. ბოლო თამაშში, "ბოსტონმა" ლოს ანჯელესში დიდი სხვაობით წაიყვანა და პო გასოლმა კობის სერია, კიდევ ერთი ბეჭედი დაუტოვა. გასოლი იმ ტესტში 18 მოხსნას იღებს. პო სერიოზული იყო. "ლეიკერსმა" სერია 4:3 დახურა და რაშიდ უოლასმა კარიერა დაამთავრა.

შიდის პირველი რეალური გუნდი "ვაშინგტონია" (1995/96). მაშინ ვაშინგტონში "ბულეთსი" იყო და შიდისთან, კიდევ ერთ ახალგაზრდა ფორვარდთან, ჯუვან ჰოვარდთან ერთად "ვაშინგტონი" ფლეიოფში ვერ შედის. გუნდმა რეგულარული 39 მოგებით, 43 წაგებული მატჩით დახურა. უოლასი კარიერას 10.1 ქულით და 4.7 მოხსნით ხსნის. იმ სეზონში NBA განსაკუთრებული იყო.

უოლასთან ერთად, ლიგაში შედიან კევინ გარნეტი, მაიკლ ფინლი, ჯერი სტექჰაუზი. რეგულარულის საუკეთესო პირველწლიანი გახდა "ტორონტოს" პატარა კაცი ამარე სტაუდმაიერი.

მეჯიქ ჯონსონი 32 თამაშით დაბრუნდა. "ლეიკერსმა" მეჯიქის რამდენიმე მილიონი მაისური გაყიდა და მისტერ ჯონსონი წავიდა. საბოლოოდ.

ჰაკიმ ოლაჯუონმა გაასწრო ქარიმ აბდულ-ჯაბარს და ლიგის ისტორიაში ყველაზე მეტი დაფარება დააგროვა. ჯონი სტოქტონი ორ ისტორიულ რეკორდს ხსნის, ჩაჭრებში (მორის ჩიქსი მოხსნა) და პასებში (მეჯიქი). ჯაბარს რობერტ პერიშმაც გადაურტყა ჯოკერზე ჯოკერი - Most Games Played. ბელადი საქმეს მაგრად აკეთებდა.

"ვაშინგტონმა" სეზონი დაასრულა და უოლასი "პორტლენდში" გაუშვა. "ტრეილ ბლეიზერსმა" შიდისთან ერთად მიიღო მიტჩელ ბატლერი და ორეგონში ჩადის ჭკვიანი გამთამაშებელი როდ სტრიკლენდი. ჰარვი გრანტთან ერთად. კარგი ვარიანტია ორივე გუნდისთვის. "ბულეთსმა" კლასიკური პირველი ნომერი დაირტყა.

რაშიდმა "დეტროიტთან" ერთად (2004) მოიგო ფინალი. უოლასი იმ გუნდის აგრესორი, დინამიტი, ჟანგიანი სამართებელი იყო. დეტროიტმა გახსნა ის სამართებელი და ლოს ანჯელესი "პისტონზს" არ გაეკარა, ინფექციის და ღრმა ჭრილობის შეეშინდა. "დეტროიტი" და უოლასი ბოლო სერიას 4:1 იგებენ. სილვესტერ სტალონეს "გასასაღებლების" გადაღების სურვილი იმ "დეტროიტის" კალათბურთის შემდეგ გაუჩნდა. სტეთემი, ლუნდგრენი, არნოლდი, რურკი, კუტიური და უილისი იყვნენ ჩონსი ბილაფსი, ბენ უოლასი, რიჩარდ ჰამილტონი, ტაიშონ პრინსი, ანტონიო მაკდაიესი და ჩვენი ახლობელი, რაშიდ უოლასი. ის გუნდი რობერტ როდრიგესის თრეში იყო.

მაიკ ვუდსონის და უოლასის მეგობრობა იმ "დეტროიტიდან" იწყება. ვუდსონი მთავარი მწვრთნელის, ლარი ბრაუნის ასისტენტი იყო. ბარუნი ერთი წლის შემდეგ ფინალს თავის მეგობართან, პოპოვიჩთან წააგებს. არანორმალური სერია იყო.

"ნიქსის" რუსტერში ყველაზე კარგი დამცველი ტაისონ ჩენდლერია. ბიჭი ლიგაშიც პირველია და თუ გუნდი უოლასს აიყვანს, ვუდსონის გეტოში სისხლიანი დაცვა იქნება.

კარმელოს, ამარეს და ჩენდლერის გუნდი წინა ფლეი-ოფის პირველ წრეში "მაიამისთან" აგებს. ლებრონის და უეიდის გუნდთან შარშან, ფლეი-ოფში, ყველამ წააგო. უნდა წაეგო და წააგო. უოლასის ტრანსფერი ჯეიმსის პრობლემას ვერ მოაგვარებს, მაგრამ გუნდში გამოცდილების დიდი მარაგი მივა.

ნიუ იორკი დიდი ვაშლია. უოლასი დიდი ხულიგანია. "ნიქსი" გაპიარებული გუნდია.

სადღაც, რაღაც მომენტში, შიდი და "ნიქსი" ერთმანეთს შეავსებენ. საინტერესო იქნება.

უვარჯიშებელი უოლასი ბევრ ნავარჯიშებ ტიპზე კარგია. კლასით, აგრესიით.

უოლასის კარიერაში **15 860** (14.6) ქულა, **7 321** (6.7) მოხსნა, **1 988** (1.8) პასი, **1 445** (1.3) დაფარება, **1 077** (1.0) ჩაჭრა, **1 064** ზუსტი სამიანი და ლიგის ისტორიაში (რეგულარულების ამბავში) ყველაზე ბევრი (41) ტექნიკური ფოლია. უოლასი თავისი გენერაციის დენის როდმანი, ჰაშიშის და ელესდეს სითბოში გაზრდილი დასვირინგებული ბიჭი იყო. უოლასი იღებს ბრეიქს და ბრეიქი მალე დამთავრდება. წესით, უნდა დამთავრდეს. We miss U, bad boy. ალბათ, იგივეს თქმა არ შეუძლია ტიმ დანკანის მოხუც სხეულს. ტიმის საკოლეჯო დონიდან ყველა დონემდე შიდისგან ბევრი მოხვდა. უოლასი თავის მუღამში ლეგენდა იყო. და ლეგენდა ბრუნდება.

ნიუ იორკში მაგარი ბანდა იკრიბება. ნიჭიერი და ეგოისტი კარმელო ენტონი, ერთფეროვანი და მაინც სექსუალური ამარე სტაუდმაიერი, მეჯიქს ჯონსონის კურსელი ჯეისონ კიდი, კრიმინალი და შეთავსებით კალათბურთელი ჯეი არ სმიტი, "მედისონ სკვერ გარდენის" ფრანკენშტეინი მარკუს კემბი. კიდევ რამდენიმე კარგი ბიჭი (აიმან შამპერტი, რეიმონდ ფელტონი, სტივ ნოვაკი, რონი ბრიუერი, არგენტინელი პროფესორი პაბლო პრიჯიონი). "მედისონ სკვერ გარდენის" გასახდელში შევა კურტ ტომასიც.

"ნიქსმა" ძველი ბიჭებიდან კიდევ ერთს მიაგნო. ეს ბიძა თავისთვის, ეზოში ვარჯიშობს მინუს პიატში და მეზობლებს გახდაზე ეთამაშება. ეს ბიძა ღამის კლუბებში დადის და მოცეკვავე გოგონებთან ერთად ფიზიკური კონდიციების გაუმჯობესებაზე ჩალიჩობს. ეს ბიძა ტიმ დანკანთან ერთად მოდიოდა სტერნის ლიგაში და ტიმის ბევრი ნაკაწრი, ცუდი მოგონება დაუტოვა. დანკანს ეს ახსოვს და დანკანი ამ ბიძას პატივს სცემს. ეს ბიძა შერონ სტოუნთან ერთად ლაბრადორებს ასეირნებდა. ეს ბიძა რაშიდ უოლასია.

"ნიქსს" უნდა უოლასი.

საქართველო ევრობასკეტისთვის მეხუთე კალათაშია

პირველი გვერდიდან

შესაბამისი თანმიმდევრობით გადანაწილდნენ ფინალისტი საფრანგეთი და მესამე-მეოთხე ადგილებზე გასული რუსეთისა და მაკედონიის ნაკრებები.

მეორე კალათაში მოხვდნენ მე-5 ადგილზე გასული ევროპის ჩემპიონატის მასპინძელი ლიტვა, მე-6 ადგილზე გასული საბერძნეთი, მომავალი ევრობასკეტის მასპინძელი სლოვენია და ლონდონის ოლიმპიური თამაშების მასპინძელი დიდი ბრიტანეთი.

მომდევნო კალათიდან ნაკრებები უკვე 2013 წლის ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო წრეში ასპარეზობის შესაბამისად დალაგდნენ - იტალია, ხორვატია, გერმანია და მონტენეგრო, რომლებმაც ეს ეტაპი დაუმარცხებლად გაიარეს და მე-3 კალათაში მოიყარეს თავი.

მე-4 კალათაში ის გუნდები მოხვდნენ, რომელთაც საქართველოს მსგავსი მოგება-წაგებათა ბალანსი ჰქონდათ, მაგრამ კოკოშკოვის გუნდს ბურთების შეფარდებით აჯობეს. ესენი არიან: ფინეთი, პოლონეთი, უკრაინა და ბოსნია-ჰერცეგოვინა.

მე-5 და მე-6 კალათებში, მეოთხეზე ძლიერი თუ არა, სუსტი ნაკრებები არ არიან განთესილნი.

მე-5 კალათაში საქართველოს ნაკრები პირველ გუნდად გამწესდა და ბელგიას, ლატვიას და თურქეთს ჩაუდგა სათავეში. მე-6 კალათაში ვხედავთ ჩეხეთს, სერბეთს, ისრაელსა და შვედეთს.

2013 წლის ევრობასკეტის განთესვა:

1. ესპანეთი, საფრანგეთი, რუსეთი, მაკედონია
2. ლიტვა, საბერძნეთი, სლოვენია, დიდი ბრიტანეთი
3. იტალია, ხორვატია, გერმანია, მონტენეგრო
4. ფინეთი, პოლონეთი, უკრაინა, ბოსნია-ჰერცეგოვინა
5. საქართველო, ბელგია, ლატვია, თურქეთი
6. ჩეხეთი, სერბეთი, ისრაელი, შვედეთი

ვიქტორ სანიკიძის სლემ-დანკებს ევროპაზეც ვიხილავთ

ევრობასკეტის ფინალური წრის რეგლამენტის თანახმად, 24 ნაკრები ოთხ 6-გუნდიან ჯგუფში გადანაწილდება. მათ შორის სამ-სამი საუკეთესო მეორე ჯგუფურ ეტაპზე გააგრძელებს ასპარეზობას. რჩეული 12 გუნდი ორ ჯგუფად დაიყოფა. პირველ-მეოთხე ადგილზე გასულები კი მეოთხედფინალში დაუპირისპირდებიან ერთმანეთს და ოლიმპიური სისტემით გააგრძელებენ ასპარეზობას.

ევრობასკეტის კენჭისყრას 18 ნოემბერს სლოვენია, კერძოდ, პოსტოინას მღვიმე უმასპინძლებს.

"ტორპედომ" ლიდერობა შეინარჩუნა

საქართველოს საფეხბურთო ჩემპიონატის მე-7 ტურის შემდეგ, სატურნირო ცხრილში ლიდერთა მდგომარეობა მკვეთრად არ შეცვლილა. გათამაშების ლიდერებმა - თბილისის "დინამომ" და ქუთაისის "ტორპედომ" სტუმრად საჩხერესა და ფოთში, თითო ქულა აიღეს და 16-16 ქულით პირველ-მეორე ადგილებს ინაწილებენ. "ტორპედოს" მეტოქეზე ერთი ბურთით მეტი აქვს გატანილი და ამიტომ სათავეში უდგას სატურნირო ცხრილს.

მდგომარეობა საგრძნობლად გაიუმჯობესა გორის "დილამ". "დინამოს" დამარცხების შემდეგ გორელებმა საქართველოს ვიცე-ჩემპიონის, რუსთავის "მეტალურგისთვისაც" მოიცალეს და მეტოქე დიდი ანგარიშით - 3:0 დაამარცხეს. შეხვედრა გორელთა აშკარა უპირატესობით წარიმართა და მატჩის 21-ე წუთზე კვირკველიამ გახსნა ანგარიში.

დანარჩენი გოლები მეორე ტაიმში გავიდა. მე-60 წუთზე ჯერ მოდებაძემ გამოიჩინა თავი, ხოლო თამაშის დასრულებამდე 4 წუთით ადრე გიგა ბეჭვაიამ წერტილი დაუსვა რუსთაველთა განადგურებას. 3:0 და გორის "დილა" 10 ქულით მეხუთე ადგილზე დამკვიდრდა.

რამდენიმე წარუმატებელი მატჩის შემდეგ გამარჯვება მოიპოვა საქართველოს ჩემპიონმა "ზესტაფონმაც". ზესტაფონელებმა სტუმრად "ვიტ ჯორჯიას" დამარცხება მოახერხეს. მატჩის კულმინაცია 90-ე წუთზე გათამაშდა, როცა იმერლები 2:1 იგებდნენ. ჯერ ჯორჯიელმა ბესიკ ჩიმაკაძემ გაათანაბრა ანგარიში, მსაჯის მიერ კომპენსირებულ დროში კი რატი წინამძღვრიშვილმა დუბლი შეასრულა და "ზესტაფონს" ჩემპიონატში მესამე გამარჯვება მოუტანა.

საქართველოს ჩემპიონატი, მე-7 ტური:

სიონი - ბაია	0:0
ჩიხურა - დინამო	0:0
კოლხეთი - ტორპედო	1:1
ვიტ ჯორჯია - ზესტაფონი	2:3
დინამო (ბთ) - მერანი	4:0
დილა - მეტალურგი	3:0

ტორპედო	7	5	1	1	18:5	16
დინამო (თბ)	7	5	1	1	17:4	16
ჩიხურა	7	4	1	2	10:8	13
მეტალურგი	7	4	0	3	6:9	12
დილა	7	3	1	3	10:7	10
ზესტაფონი	7	3	1	3	7:4	10
ბაია	7	2	4	1	7:4	10
მერანი	7	3	0	4	4:12	9
სიონი	7	1	4	2	7:8	7
დინამო (ბთ)	7	1	2	4	7:14	5
ვიტ ჯორჯია	7	1	2	4	4:11	5
კოლხეთი	7	0	3	4	3:13	3

ალპინისტურმა საზოგადოებამ ზურაბ სუჯაშვილი დაკარგა

გარდაიცვალა ცნობილი ქართველი მთამსვლელი, საქართველოს მთამსვლელთა ნაკრების წევრი (1978-1988 წწ.) ზურაბ სუჯაშვილი.

ზ. სუჯაშვილი 1952 წელს დაიბადა ხევში (ყაზბეგის რაიონი სოფ. გერგეტი)

ვისაც ქართულ ალპინიზმთან შეხება ჰქონია, იცის, რომ მთამსვლელობის აკვანი სწორედ ხევში დაირწა. აქ მხედველობაში არა გვაქვს მხოლოდ მყინვარწვერზე გიორგი ნიკოლაძის და ალექსანდრე დიდებულიძის ხელმძღვანელობით განხორციელებული 1923 წლის ასვლები, რომლებიც ალპინიზმის დასაბამადაა მიჩნეული არა მხოლოდ საქართველოში, არამედ ყოფილ მთელ საბჭოთა კავშირში.

ქართველებს გვაქვს უტყუარი ცნობა, რომ მსოფლიო ალპინიზმის ფუძემდებლად ჟაკ ბალმასა და მიშელ პაკართან ერთად ვაღიაროთ მღვდელი იოსებ მოხევე, რომელმაც ერეკლე II მეფობის ჟამს მოახდინა ასვლა მყინვარწვერზე. ესეც არ იყოს, ხევის წარმომადგენლებს განსაკუთრებული წვლილი აქვთ შეტანილი ალპინიზმის პოპულარიზაციისა და განვითარების საქმეში და უდაოდ მათი დამსახურებაა იმაშიც, რომ მთამსვლელობა საქართველოში დღეს სპორტის ეროვნულ სახეობადაა მიჩნეული.

ზურაბ სუჯაშვილს და მისი თანატოლების გატაცება ალპინიზმით სულ არ იყო შემთხვევითი. ხევი (ყაზბეგის რაიონი) ქართული მთამსვლელობის ნამდვილი "მექა" იყო. არც ალპინიზმის ჭეშმარიტ რაინდთა სახეები აკლდა ხევს: გ. წიკლაური, ი. კაზალიკაშვილი, ნ. ქირიკაშვილი, ა. ხეთაგური, შ. ჩოფიკაშვილი, ა. ღუდუშაური, ვ. ხუციშვილი, ლ. სუჯაშვილი, ვ. ქირიკაშვილი, ვ. ფიცხელაური, დ. ალიბეგაშვილი, ს. კაზალიკაშვილი, გ. სუჯაშვილი და მრავალი სხვა.

ზურაბ სუჯაშვილი მთამსვლელობას სულიერად თსუ-ს ალპინიადებში ეზიარა, პირველი ალპინისტური ასვლა 18 წლისამ შეასრულა "ნიკოლაევის" პიკი ("ცეის" რაიონი).

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ალპსექციაში გაწევრიანების შემდეგ (1974 წ.). ზ. სუჯაშვილისათვის მთამსვლელობა ცხოვრების განუყოფელ ნაწილად იქცა.

1977 წლიდან ზ. სუჯაშვილი უკვე საქართველოს მთამსვლელთა ნაკრებშია და სპეციალური პროგრამით გადის წვრთნას. 1982 წელს ზ. სუჯაშვილმა შეასრულა სპორტის ოსტატობის კანდიდატის ნორმატივი და საქართველოს ნაკრების ძირითად შემადგენლობაში ჩაირიცხა და მასთან ერთად განახორციელა ურთულესი ასვლები როგორც კავკასიონზე, ასევე პამირის მთიანეთში.

სამთო-სამაშველო რაზმის "ჟეტონზე" (N 3209) გამოცდის ჩაბარების შემდეგ (1982 წ.) ზ. სუჯაშვილი დაინიშნა ალ. ჯაფარიძის სახელობის საქართველოს ალპკლუბის ყაზბეგის საკონტროლო-სამაშველო პუნქტის ინსტრუქტორად და როგორც კვალიფიციურმა მაშველმა, ათობით საძიებო-სამაშველო ოპერაციებში მიიღო მონაწილეობა.

სპორტული მიღწევების პარალელურად ზ. სუჯაშვილი, როგორც მთამსვლელობის ინსტრუქტორ-მეთოდისტი, ნაყოფიერ პედაგოგიურ მოღვაწეობასაც ეწეოდა ალპინიზმში და მნიშვნელოვანი წვლილი შეჰქონდა ამ სახეობაში ახალი კადრების მომზადების საქმეში.

ამ ქვეყნიდან მისი უდროოდ წასვლა დიდი დანაკლისია არა მხოლოდ ოჯახისთვის და ახლობლებისთვის, არმედ მთელი ქართული ალპინისტური საზოგადოებისთვისაც.

საქართველოს მთამსვლელთა ფედერაციის პრეზიდენტი; საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი; თსუ ნახევარგამტართა ფიზიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი შოთა მირიანაშვილი

მარკოიშვილი ევროლიგას უახლოვდება

მანუჩარ მარკოიშვილის "კანტუმ" წარმატებით დაძლია ევროლიგის საკვალიფიკაციო ეტაპის პირველი ბარიერი. გათამაშების სისტემა ასეთია: ევროლიგის ბოლო, ერთი საგზურისთვის 8 გუნდი იბრძვის. ესენი არიან: ყაზანის "უნიკსი", გერმანული "ულმი", უკრაინული "დონეცკი", ფრანგული "ლე მანი", ჩეხური "ნიმბრუკი", ბელგიური "ოსტენდე" და ბულგარული "აკადემიკი". ეს უკანასკნელი უკვე გამოეთიშა საგზურისთვის ბრძოლა, ბულგარელები მეოთხედფინალური დაპირისპირებიდან კანტუელებმა გამოაგდეს. სწორედ პლეი ოფის სისტემით იმართება საკვალიფიკაციო ეტაპი. 8 გუნდი დაწყვილდა და მომდევნო ეტაპზე გასვლა ერთი გამარჯვებით მიიღწევა.

პირველი გამარჯვება და ნახევარფინალის საგზური "კანტუმ" საკმაოდ დაძაბულ ბრჟოლაში მოიპოვა.

მარკოიშვილი სასტარტო ხუთეულში იყო და მოედანზე 33 წუთი გაატარა. ქართველმა უკანახაზელმა 10-დან 5 ორქულიანი, 3-დან 1 სამქულიანი და 2 საჯარიმო ჩააგდო, 15 ქულას კი 3 შედეგიანი გადაცემაც წაამატა. მარკოიშვილმა ბურთი ორჯერ დაკარგა, 4 პერსონალური ფოლი მიიღო, მის წინააღმდეგ კი სამჯერ დაჯარიმდნენ.

დღეს "კანტუ" "ნიმბრუკს" დაუპირისპირდება.

ესპანელები დელ ბოსკეს საუკეთესო მწვრთნელად თვლიან

ესპანეთის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ვისენტე დელ ბოსკემ ქვეყნის საუკეთესო სპორტული სპეციალისტის გამოსავლენ გამოკითხვაში ყველაზე მეტი ხმა დააგროვა.

ესპანური გამოცემა AS აქვეყნებს ფონდ Salmatino-ს მიერ მომზადებული საზოგადოებრივი გამოკითხვის შედეგებს. შეკითხვა ასეთი იყო: "ვის თვლით ქვეყნის საუკეთესო მწვრთნელად?"

გამოკითხულებს უნდა აერჩიათ ესპანელი მწვრთნელი ან ის მწვრთნელი, რომელიც მუშაობს ესპანელ სპორტსმენებთან და გუნდებთან. ყველაზე მეტი ხმა დააგროვა მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონი საფეხბურთო გუნდის დამრიგებელმა ვისენტე დელ ბოსკემ - 36,61 პროცენტი. მეორე ადგილი დაიკავა "ბარსელონას" ყოფილმა დამრიგებელმა პეპ გვარდიოლამ, რომელსაც უპირატესობა მიანიჭა გამოკითხულთა 29,32 პროცენტმა.

მადრიდის "რეალის" მწვრთნელმა, პორტუგალიელმა ჟოზე მოურინიომ რესპონდენტთა 7,06 პროცენტი დააგროვა.

არასაფეხბურთო სპეციალისტთა შორის საუკეთესო მაჩვენებელი აღმოაჩნდა ჩოგბურთელ რაფაელ ნადალის ბიძას და მწვრთნელს ტონი ნადალს (4,42).

ამ გამოკითხვამ გამოავლინა ისიც, რომ გვარდიოლა ქალებში და ზოგადად 25-დან 34 წლამდე ადამიანებში სარგებლობს ყველაზე მეტი პოპულარობით. დელ ბოსკე კი ამ მაჩვენებლით უფროსი ასაკის ადამიანებშია პოპულარული. მოურინიო ამავე სტატუსით სარგებლობს 18-დან 24 წლამდე ახალგაზრდებს შორის.

"ინტერს" ბალოტელის დაბრუნება სწადია

მილანის "ინტერის" ხელმძღვანელები გნუნდსი შემტევი პოტენციალის გაზრდას აპიერბენ და ამ მიზნით "ნერაძურიში" მარიო ბალოტელის დაბრუნება სურთ.

აღსანიშნავიაბ რომ "ინტერის" კიდევ ერთ სამიზნეს ესპანეთის ნაკრებისა ბდილბაოს "ატლეტიკის" ფორვარდი ფერნანდო ლორენტე წაორმოადგენს. ზამთრის სატრანსფერო პერიოდში "ინტერი" ამ ორი ფორვარდიდან ერთ-0ერთის გადაბირებას შეეცდება.

კანუტე ფეხბურთიდან წავიდა

35 წლის მალელმა ფორვარდმა ფრედერიკ კანუტემ ფეხბურთელის კარიერა დაასრულა. "სანჩეს პისხუანზე" მისულმა 32000 გულშემატკივარმა ოვაციებით გააცილა ბოლო წლებში ანდალუსიელთა საუკეთესო ბომბარდირი. კანუტემ 2005-2012 წლებში ითამაშა "სევილიაში" და ორჯერ მოუგია უეფას თასი (2006, 2007), სულ კი ანდალუსიურ გუნდში, ყველა ტურნირში ერთად, 136 გოლი გაუტანია.

სერბეთში ყველაზე სწრაფი გოლი გაიტანეს

სერბეთში თანამედროვე ფეხბურთის ისტორიის ყველაზე სწრაფი გოლი გავიდა. ეს მოხდა ბელგრადული გუნდების "პოლიოტისა" და "დორჩოლის" ახალგაზრდული შემადგენლობების მატჩის მეორე წამზე.

ისტორიული გოლი ასე გავიდა - "პოლიოტის" ნახევარცმველმა იმის ნაცვლად, რომ მსაჯის სასტარტო სასტვენის შემდეგ ბურთი პარტნიორისთვის დაეგორებინა პირდაპირ კარში დაარტყა, დარტყმა იმდენად კარგი გამოდგა, რომ ანგარიშიც გაიხსნა.

ისღა დაგვრჩენია გითხრათ, რომ ამ გოლის ვიდეოჩანაწერს youtube-ზე უკვე ნახევარ მილიონამდე მნახველი ჰყავს.

კოული "ჩელსისთან" ხელშეკრულების გაგრძელებაზე უარს ამბობს

"ჩელსის" მცველმა ეშლი კოულმა ლონდონურ კლუბთან ხელშეკრულების გაგრძელებაზე უარი თქვა. Soccernet-ის ცნობით, "არისტოკრატებმა" 31 წლის კოულს ერთწლიანი კონტრაქტი შესთავაზეს, რამაც ფეხბურთელი არ დააკმაყოფილა.

საქმე ისაა, რომ "ჩელსი" შემადგენლობის გაახალგაზრდავებას ცდილობს და ვეტერანებთან სხვაგვარი დამოკიდებულება აქვს - მოკლე ვადიან ხელშეკრულებებს აფორმებს. კოულს კი სურს, რომ საკუთარ მომავალში დარწმუნებული იყოს და ლონდონელებისგან მორიგ შემოთავაზებას ელის, რომელიც უფრო ხანგრძლივი იქნება. იმ შემთხვევაში თუ "ჩელსი" საკუთარ დამოკიდებულებას არ შეცვლის, კოული იანვრის სატრანსფერო სეზონში სხვა კლუბებთან დაიწყებს მოლაპარაკებებს.

გიგანტები

ალექსანდრე ასათიანი

ივან ლენდლი იგებდა ყველაფერს და ვერ გაიარა მწვანე მილი უიმბლდონზე. პიტ სამპრასმა მოიგო ყველა მეიჯორი და ვერ გავიდა როლან გაროს ფინალში. ერთხელ ჩაჯდა გრუნტის დიდი სლემის ნახევარფინალში და ამერიკელს იქ ევგენი კაფელნკოვმა აუწია ყური. ანდრე აგასიმ ყველაფერი მოიგო და ანაბოლიკებზე იჯდა. ანდრე მაინც აგასია. ბიორნ ბორგმა სადღაც იცელქა, სადღაც საქმე ბოლომდე ვერ მიიყვანა, ჩოგბურთიდან ადრე წავიდა და საცვლის ბიზნესში ჩადო მილიონები. ბორის ბეკერიც გრუნტზეა აცრილი და რეიტინგებიდან ამოვარდნილია სტეფან ედბერგი. სხვა მაგარი პერსონაჟებიც ოფსაიდში ??იან. რაფაელ ნადალი ჩოგბურთის კიბორგია და მაინც როჯერ ფედერერის უკან ზის. ფედერერი ჩოგბურთის ჯონ ლენონია. დიდი ბიჭები ერთმანეთში მაგარ გარჩევებს ატარებდნენ. დღეს ATP-ს ისტორიული სტატისტიკა გავიაროთ. ძალიან საინტერესოა. ბევრი დავიწყებული გვარი და გასახსენებელი ლეგენდა. წავედით.

ბიორნ ბორგს პირველი ათეულის ხალხთან საუკეთესო სტატისტიკა აქვს

VS TOP 10

1. ბიორნ ბორგი (შვედეთი).....67:28 (70.5 %)
2. როჯერ ფედერერი (შვეიც).....158:78 (66.9)
3. რაფაელ ნადალი (ესპანეთი) 99:51 (66.0)
4. ბორის ბეკერი (გერმანია).....121:65 (65.1)
5. ივან ლენდლი (ჩეხეთი/აშშ) 119:66 (64.3)
6. პიტ სამპრასი (აშშ) 124:71 (63.6)
7. ჯონ მაკინროუ (აშშ)..... 85:64 (57.0)
8. ენდი მარი (დიდი ბრიტანეთი) ...58:45 (56.3)
9. ანდრე აგასი (აშშ) 109:90 (54.8)
10. ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერბეთი) 76:64 (54.3)

ცაცხვებთან

1. რაფაელ ნადალი .....63:6 (91.3 %)
2. პიტ სამპრასი.....143:27 (84.1)
3. ენდი როდიკი (აშშ).....73:17 (81.1)
4. ლეიტონ ჰიუიტი (ავსტრალია)...80:19 (80.8)
5. ბორის ბეკერი.....135:33 (80.4)
6. მათს ვილანდერი (შვედეთი).... 104:27 (79.4)
7. ჯიმი კონორსი (აშშ)..... 169:46 (78.6)
8. ჯონ მაკინროუ 123:38 (76.4)
9. როჯერ ფედერერი.....92:29 (76.0)
10. ჯიმ კურიე (აშშ) 104:33 (75.9)

პირველი სეტის მოგების შემდეგ

1. ბიორნ ბორგი.....524:25 (95.4 %)
2. ნოვაკ ჯოკოვიჩი 393:19 (95.4)
3. რაფაელ ნადალი 519:28 (94.9)
4. ჯიმი კონორსი.....1 077:62 (94.6)
5. ჯონ მაკინროუ 773:47 (94.3)
6. ივან ლენდლი.....932:66 (93.4)
7. ენდი მარი 313:22 (93.4)
8. როჯერ ფედერერი.....772:56 (93.2)
9. ედი დიბსი (აშშ) 494:40 (92.5)
10. დელ პოტრო (არგენტინა).....208:17 (92.4)

მოგებული ფინალები

1. ტომას მუსტერი (ავსტრია). 44:10 (81.5 %)
2. ნიკოლაი დავიდენკო (რუსეთი)....21:6 (77.8)
3. ტომას ენკვისტი (შვედეთი)..... 19:7 (73.1)
4. ბიორნ ბორგი.....64:24 (72.7)
5. პიტ სამპრასი.....64:24 (72.7)
6. იოაკიმ ნიუსტრიომი (შვედეთი) ..13:5 (72.2)
7. ხოსე-ლუის კლერკი (არგ) 25:10 (71.4)
8. ჯონ მაკინროუ 76:31 (71.0)
9. როჯერ ფედერერი.....76:32 (70.4)
10. რაფაელ ნადალი 50:21 (70.4)
11. როდ ლეივერი (ავსტრალია).....41:18 (69.5)
12. ჯიმი კონორსი.....108:48 (69.2)
13. გუსტავო კუერტენი (ბრაზ).....20:9 (69.0)
14. ხუან მარტინ დელ პოტრო.....11:5 (68.8)
15. ენდი მარი.....24:12 (66.7)
16. ვიჯაი არმიტრაჟი (ინდოეთი).....16:8 (66.7)
17. ნიკოლას ალმაგრო (ესპანეთი) ..12:6 (66.7)
18. მაგნუს ნორმანი (შვედეთი) 12:6 (66.7)
19. ანდრე აგასი.....59:30 (66.3)
20. ჯონ ნიუკომბი (ავსტრალია) 31:16 (66.0)
21. სტენ სმიტი (აშშ).....36:19 (65.5)
22. რიხარდ კრაიჩეკი (ჰოლანდია)...17:9 (65.4)
23. უეინ ფერეირა (სამხ.აფრიკა).....15:8 (65.2)
24. მარკ როსე (შვეიცარია) 15:8 (65.2)
25. ლეიტონ ჰიუიტი.....28:15 (65.1)
26. კარელ ნოვაჩეკი (ჩეხეთი).....13:7 (65.0)
27. ბალაშ ტაროჩი (უნგრეთი).....13:7 (65.0)
28. ივან ლენდლი.....92:50 (64.8)
29. ჯიმ კურიე..... 23:13 (63.9)
30. იანიკ ნოა (საფრანგეთი) 23:13 (63.9)
31. ბორის ბეკერი.....49:28 (63.6)
32. მარტინ ხაიტე (არგენტინა) 12:7 (63.2)
33. კენ როუზვოლი (ავსტრალია) ..28:17 (62.2)
34. ნოვაკ ჯოკოვიჩი 31:19 (62.0)
35. ენდი როდიკი 32:20 (61.5)
36. ანდრეი მედვედევი (უკრაინა) 11:7 (61.1)
37. ილიე ნასტასე (რუმინეთი).....56:36 (60.9)
38. ალბერტო ბერასატეგი (ესპ) 14:9 (60.9)
39. გილერმო ვილასი (არგ) 62:40 (60.8)
40. ანდრეშ გომეში (ეკვადორი) 21:14 (60.0)
41. ალბერტ კოსტა (ესპანეთი) 12:8 (60.0)
42. ტომი რობრედო (ესპანეთი) 10:7 (58.8)
43. მაიკლ ჩანგი (აშშ).....34:24 (58.6)
44. მიხაელ შტიხი (გერმანია) 18:13 (58.1)
45. ჰაროლდ სოლომონი (აშშ) 22:16 (57.9)
46. გი ფორჟე (საფრანგეთი) 11:8 (57.9)
47. ხოსე იგუერასი (ესპანეთი).....16:12 (57.1)
48. ალექს კორეჩა (ესპანეთი) 17:13 (56.7)
49. მარსელო რიოსი (ჩილე) 17:13 (56.7)
50. ევგენი კაფელნიკოვი (რუს).....26:20 (56.5)

უცნობი
გრიგოლ
რობაქიძე

დაგვიკავშირდით:
თბილისი,
ილია ჭავჭავაძის გამზ. N5
ტელ: (+995 32) 2 25 05 22
(+995 32) 2 91 22 83
(+995 32) 2 47 55 54
artanuji@artanuji.ge
www.artanuji.ge

www.artanuji.ge

გამომცემლობა არტანუჯი

პირველად

გრიგოლ რობაქიძის უცნობი
შემოქმედებითი მემკვიდრეობა
ქართულ ენაზე